



ლიტერატურული მემკვიდრეობა

№3 (306)
მარტი
2024 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდაათი წელი

"LITERATURULI MESKHETI"

სოლომონ მეორე

სულხან კუპრაშვილი

იტორიის დოქტორი, პროფესორი

იმერეთის ლეგენდარული მეფე სოლომონ პირველი ისე გარდაიცვალა, რომ მას პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩენია. მეფის ერთადერთი მემკვიდრე მისი შვილი ალექსანდრე ბატონიშვილი იყო, რომელიც მამის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობდა და 1780 წელს გარდაიცვალა. მას დარჩა უკანონო შვილი – გიორგი, რომელსაც არ ჰქონდა გამეფების უფლება. იმერეთის ტახტზე პრეტენზიას აცხადებდნენ: ქაიხოსრო აბაშიძე, როსტომ რაჭის ერისთავის ვაჟი – გიორგი ანუ ქიორბეი, სოლომონის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე ბაგრატიონი. სოლომონ პირველმა კი სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე თავის მემკვიდრედ საკუთარი ძმისშვილი – დავით არჩილის ძე ბაგრატიონი გამოაცხადა. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ დავით არჩილის ძე 12 წლის იყო და იგი ბაბუამისის, ერეკლე II-ის კარზე იზრდებოდა. მისი მცირეწლოვნობით ისარგებლა დავით გიორგის ძემ და, იმერეთის ყველაზე გავლენიანი ფეოდალების პაპუნა და ზურაბ წერეთლების, ბერი წულუკიძისა და დადიან-გურიელის ხელშეწყობით, ტახტი თვითონ დაიკავა. დავით გიორგის ძე იმერეთს 1784-1789 წლებში მართავდა. მან ფიცი დადო, რომ სოლომონ I-ის პოლიტიკას გააგრძელებდა. რუსეთისა და ერეკლე II-ის ზეწოლის შედეგად მან თავის მემკვიდრედ დავით არჩილის ძე გამოაცხადა და საუფლისწულო მამული მისცა.



12 000-იან ჯარს ამზადებდნენ, ახალციხის ფაშა კი ლეკებისა და ამიერ კავკასიის ხანების სამხედრო ძალებს უხმობდა საქართველოში სალაშქროდ. სიტუაციის ამგვარმა გამწვავებამ მეფე და თავადები დროებით შეარჩია. ზურაბ და პაპუნა

წერეთლებმა და წულუკიძემ მეფეს მორჩილება გამოუცხადეს. 1785 წლის ბოლოსათვის რუსეთის ზეწოლის შედეგად ოსმალეთის იმპერიამ ხელი აიღო თავისი კანდიდატის გამეფებაზე იმერეთის სამეფოში. დაპირისპირება მეფეებსა და თავადებს შორის კვლავ გრძელდებოდა. მიუხედავად მისი ხმაელის განცხადებისა, რომ სოლომონ პირველის პოლიტიკას გააგრძელებდა, დავით მეფემ მისი წინამორბედის ანდერძი დაარღვია და ალაღვირა რაჭის საერისთავო და ერისთავად რაჭის ერისთავის ძე გიორგი დანიშნა.

1786 წელს დავით არჩილის-ძემ სცადა იმერეთში გამეფება. მას მხარი წულუკიძეებმა და წერეთლებმა დაუჭირეს, თუმცა დავით გიორგის-ძემ მოხერხდა მონინალმდეგების დამარცხება. მიუხედავად ცალკეული წარმატებებისა, ამკარად ჩანდა, რომ დავით მეორე ტახტს დიდხანს ვერ შეინარჩუნებდა, რადგანაც მის მონინალმდეგეთა რიგებში, შინა ფეოდალური ოპოზიციის გარდა, აღმოჩნდა დავით არჩილისძის ბაბუა – ამიერკავკასიის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწე ერეკლე მეორე. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე მეფე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში სტაბილურობის მომხრე იყო, მისი სიმპატიები ამკარად საკუთარი შვილისშვილისაკენ იხრებოდა. დავით

გიორგის ძემ სცადა პოლიტიკური იზოლაცია ისევე გაერღვია. 1787 წლის ივნისში იმერეთის მეფის ელჩი ბესარიონ გაბაშვილი პეტერბურგში გაემგზავრა. მან რუსეთში იმ დროს ჩააღწია, როდესაც დავით მეორე თავისი მეფობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

მალე დავით გიორგის ძე წერეთლების, წულუკიძეების პარალელურად დაუპირისპირდა სამეგრელოს მთავარს გრიგოლ დადიანს, რომელიც დავით არჩილის-ძის ცოლისძმა იყო. 1789 წლის 11 ივლისს სოფელ მათხოჯთან ბრძოლაში ქართლისა და სამეგრელოს ჯარებმა დავით გიორგის ძე დაამარცხეს და ტახტზე დავით არჩილის-ძე აიყვანეს. მიუხედავად ამისა, დავით გიორგის ძემ ახალციხის ფაშის დახმარებით შეძლო ტახტის დაბრუნება. ტახტიდან დავით არჩილის-ძემ დახმარებისათვის ერეკლე მეორესა და გრიგოლ დადიანს მიმართა. ერეკლემ ქართლ-კახეთის ჯარს სათავეში თავისი შვილისშვილი გიორგი იოანეს ძე ჩაუყენა და იმერეთში გამოუშვა. მას შეუერთდა დადიანის ლაშქარიც. დავით არჩილის ძეს ლეკთა დაქირავებული რაზმებიც ახლდნენ. 1790 წელს დავით გიორგის ძე ქოლხეთის ბრძოლაში დამარცხდა და ახალციხეში გაიქცა. იმერეთის ტახტი სოლომონ მეორემ დაიკავა, ამჯერად უკვე საბოლოოდ. 1792-1794 წლებში იგი უშედეგოდ ცდილობდა გამეფებას, მაგრამ დამარცხდა და გადაიხვეწა ახალციხეში, სადაც ყვავილით გარდაიცვალა 1795 წელს.

სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის სამეფოში შინაომები მიმდინარეობდა დავით გიორგის ძესა და დავით არჩილის ძეს შორის, მეტოქეთა გაუთავებელი შუღლი, დაქირავებული სამხედრო ძალის გამოყენება, ხან ერთი და ხან მეორე კუთხის აობრება აჩანაგებდა ქვეყანას. ამით თავმოებზრებულმა იმერეთის დიდებულებმა გადაწყვიტეს კავკასიის ყველაზე მაღალი რანგის ხელისუფალისათვის – ერეკლე II-ისთვის მიემართათ საქართველოს გაერთიანების წინადადება. 1790 წელს ერეკლე მეფეს ელჩობით ესტუმრნენ დასავლეთ საქართველოს ყველაზე პატივცემული პირები: ექვთიმე გელათელი, დოსითეოს ქუთათელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, პაატა მიქელაძე, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, სენია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, ქაიხოსრო ჩიჯავაძე და ფიცისკაცები: ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი. აღნიშნული ელჩობა ერეკლეს იმერეთის შეერთებას თხოვდა არამარტო მაღალი სამღვდლოებისა და არისტოკრა-

გაგრძელება მე-6 გვ. ▶

იუბილე

მუღთგაცხადონ

მიმდინარე წლის 13 თებერვალს საქართველოს მწერალთა სახლის ორგანიზებით გაიმართა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელიც გახსნა მისმა დირექტორმა ქეთევან ღუმბაძემ.

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაცყალა გონაშვილმა და თანა თავმჯდომარემ რევაზ მიშველაძემ ვრცლად მიმოიხილეს გაზეთის ოცდახუთწლიანი ისტორია, მისი როლი ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ (დამფუძნებლები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და კერძო პირი ავთანდილ ბერიძე), მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში გამოდის, მისი გავრცელების არეალი თითქმის მთელ საქართველოს მოიცავს და იგი ქართულ ლიტერატურულ გამოცემებს შორის ყველაზე მრავალტირაჟიანია და გამოირჩევა მაღალი აკადემიური დონით, რომელთანაც თანამშრომლობენ როგორც ქვეყნის ყველა კუთხიდან, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრები ადამიანები. გაზეთისადმი ინტერესი კი უფრო გააქტიურდა მას შემდეგ, რაც 2008 წლიდან, „მოთაობის სახალხო დელეგაციის“ დაკავშირებით, მის მიერ ტრადიციულად ტარდება ლიტერატურული კონკურსები.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ საიუბილეო საღამოზე, რომელსაც მონაწილე სტუმართა განსაკუთრებულად დიდი რაოდენობა ესწრებოდა, თითოეულმა გამომცემელმა (ოცდაათამდე), ვრცლად ისაუბრა „ლიტერატურული მესხეთის“ როლსა და მნიშვნელობაზე როგორც სამცხე-ჯავახეთის, ასევე სრულიად საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში. ხაზი გაესვა იმ ფაქტსაც, რომ, მიუხედავად ურთულესი ეკონომიკური მდგომარეობისა, 25 წლის მანძილზე გაზეთი სტაბილურად გამოდის და მისი თითოეული ნომერი შეუფერხებლად მიეწოდება თავის ერთგულ მკითხველს. დაბეჯითებით შეიძლე-



ბა ითქვას ისიც, რომ – დღეს იგი საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო ლიტერატურულ გამოცემად აღიარებული.

აქ ყველა გამომცემელს, ცხადია, ვერ ჩამოვთვლით და არც ამის საშუალებაა, მაგრამ ძნელია უემოციოდ გადმოსცე „ლიტერატურული მესხეთისადმი“ გამოხატული ის დიდი სიზო და სიყვარული, რომელსაც თითოეული გამომცემელი გამოხატავდა მის მიმართ. ყველა ისინი ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანები არიან და მათ სიტყვას დიდი ნონა და ფასი აქვს. საამაოა, რომ ბევრი მათგანის შემოქმედება დიდი ხანია აქტიურად დაუკავშირდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ყოველდღიურ ცხოვრებას. რამაც განაპირობა ობილარი გაზეთის ავტორიტეტის ამაღლება.

საიუბილეო საღამოზე ასევე წარდგენილი იქნა „მესხური ფოლკლორის“ მეორე ტომი, რამაც დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მიზრძანებულ სტუმრებს შორის იყვნენ ცნობილი პოეტები,

მწერლები, საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, გაზეთის დამფუძნებლები, სარედაქციო საბჭოს წევრები, გამოცემელები, პუბლიცისტები, გულშემატკვრელები.

ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის სარედაქციო საბჭოს ყველა წევრს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით მიენიჭა შესაბამისი ლიტერატურული პრემიები.



საიუბილეო საღამოს დასასრულს, რომელმაც სამ საათზე მეტხანს გასტანა, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა ავთანდილ ბერიძემ გაზეთის რედაქციის სახელით მწერალთა სახლის დირექციას, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობას, დამსწრე საზოგადოებას, გულთიადი მადლობა გადაუხადა და გამოხატა განსაკუთრებული მადლიერება ყველა იმ მხარდამჭერთა, ლიტერატურული კონკურსების დამფინანსებელთა და ავტორთა მიმართ, რომელთა მხრებზეც დგას გაზეთის თითოეული ნომრის გამოცემა.

ციური ასპანიძე-მუსხიშვილი

პროზა

კახაბერ ჯაყელი

(გაგრძელება. დასაწყ. ნინა ნომერში)

კითხვით გაბრუნებული იგნაციოსის წინ ვილაყის ანდოლი აიტუზა. — ვინა ხარ? — იკითხა ბასკონიელმა ბერმა.

— „სომეხთა ეპისკოპოსი ვარ, მარტიროსი“ — განაცხადა ლაბადა ნახურულმა მუქი ფერის ლანდმა.

— რა გულის, მე აქ თქვენს საკითხებს არ ვიხილავ, მე ახლა იბერიელებს ვიკვლევ გაუფლავა გონებაში აცახცახებულ ბერს.

„ქართველები იერუსალიმში სალოცავად შესვლის დროს სხვებივით სულთანს გადასახადს არ უხდიან. რა გადასახადი, რის ზაფი, წმინდა კაცო, ეს ქართველები ცხენზე ამხედრებულნი, თავიანთი ხუთჯვ-

ბით მაშინ, როცა აღმოსავლეთში სიტუაცია მკაფიოდ გადასხვავდებოდა და ქართველთა სახელმწიფო დასუსტდა. შავ ზღვაში გაგლეხა ქართველებმა ვერ გააძლიერეს, საერთოდ, როგორც ფოლიანტიბიდან ჩანს, ისინი მხოლოდ ხმელეთზე იბრძოდნენ. ისინი ზღვას უფრთხიან. ზღვა მათთვის საზღვარია. ამიტომაც მათი სახელმწიფო აგრარულ ეკონომიკაზე არის დაფუძნებული. მოინიე მოსავალი, დაასაწყობე, შექმენი დოვლათი. ადგილობრივ დონეზე მოიხმარე და ასე შემდეგ. ამგვარი ეკონომიკა მხოლოდ მშვიდობის დროს არის ძლიერი. მშვიდობა კი საქართველოსათვის დამთავრდა. მისი ჯარი ერთხელაც იქნა და გატყდა. აღმოსავლეთის იბერიელებს ჰგვანან დასავლეთის იბერიელებს, ისინი საკმაოდ სუსტი დიპლომატები არიან, მაგრამ სისხლისღვრაში მტკიცედ და ბოლომდე დგანან.

რი, რომელმაც ფერარის უნიას ხელი არ მოაწერა — სამწუხაროდ ასეა.

რას მისცემდა ეს უნია საქართველოს? — იგნაციუსი ამ კითხვებზე კვლავ და კვლავ უღრმავდებოდა ისტორიას და პასუხს ჯერ ვერ პოულობდა:

„პაპი ბერძნებს დაჰპირდა რომ თურქებისაგან დასაცავად 300 კაციანი რაზმს, ორ სახმედროს გალერას, შეინახავდა.“ — პაპის კრიტიკას ვერ გაბედავდა იგნაციუსის ტვინი მანამდე, ეხლა კი იგი, რატომღაც, ილიმებოდა. სამას კაციანი რაზმი სასაცილოდ მოსჩანდა. როცა კონსტანტინოპოლი დახმარებას ამოად ელოდა, სულთანმა ასორმოცდაათი ათასი თურქი ჯარისკაცი მოაყენა ოქროს რქის უბეს. ბიზანტიის იმპერია გაჰქრა. მისი სიმდიდრენი ვენეციაში გაზიდეს ვაჭრებმა. იმპერატორის ოჯახის წევრები მონებად დაჰყიდეს. წმინდა აია სოფიას მე-

ბა აამღვრია და გული მოუკლა.

1440 წელს, ფერარის უნიის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ, ათონის მთის მართლმადიდებლურ ბერძნულ მონასტრებს შესევინა ლათინი კნებები. მათ შუბნაჯახებით დაუხოციათ ის ბერები, რომლებიც არ იზიარებდნენ უნიას. ნუთუ ეს კათოლიკეთა სამყაროში მოხდა? ვინ გასცა ბრძანება, ეშმაკმა როგორ აცდუნა სამხედრო ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, ამგვარი ნაბიჯი რომ გადაედა? — ტვინის შიგთავსი ატკივდა აქამდე უდარდლოდ მორწმუნე, დაუფიქრებლად მოყვარე ქრისტიანს — იგნაციუს ბასკს, მაგრამ მაინც განაგრძო მუშაობა და შემდეგი ფოლიანტიბის გორა მოითრია.

„აი საბჭუთო რომ პაპმა ძლიერ განიცადა კონსტანტინოპოლის ოსმალთაგან დაპყრობა. შემდეგ კი საუბარია იმაზე თუ რა ნაბიჯებს გადადგამს რომი, თურქთა სისხ-

იგნაციოს ბერის შემოსვლა

(ნაწყვეტი ისტორიული რომანიდან — „სიმონ მეფე“)

რიანი დროებით ისე შედიან დავითის წმინდა ქალაქში, თითქოს იგი მათი აშენებული ან დაპყრობილი იყოს. მათია გოლგოთის კლიტენი ამჟამად. მე კი სომეხთა ეპისკოპოსმა მარტიროსმა გადაწყვიტე ეგვიპტის სულთანს მივმართო და გოლგოთა ქართველთაგან გავენთავისუფლო. მათი გასაღები სომეხებს გადავცე. ამიტომაც ჩავედი კაიროს!

ლანდი გარკვევით საუბრობდა გაკვირვებულ იგნაციოს ბერთან.

ჩახვედი კიდევაც და სხვაც მრავალი მსგავსი რამ ჩაგიდენია ღირსო ეპისკოპოსო, ვიცი, წავიკითხე, რომ რამდენჯერმე ხლებიხარ ეგვიპტის სულთანს და მის მოხელეებს! ძვირი დაგიჯდებოდა ეს მგზავრობა შენ, ასე არ არის? გაეღიმა იგნაციოს ბერს!

— ეეჰ, ღირსო ბერო, ეგვიპტელი მოხელეებისათვის მირთმეულ საჩუქრებში დიდძალი ფული და ოქრო დავხარჯე, მაგრამ ვერა გავარდიე რა.

— რატომ, ჩემო ძმაო? — თითქოსდა განცვიფრდა იგნაციოს ბერი.

— როდესაც მე-11-ჯერ ვენვიე სულთანს, მისმა სარდალმა თავის კარავში მიხმო, საკმაოდ მრისხანე სახით მიბრძანა, დავმჯდარიყავი და ყოველივე დაწერილებით ამეხსნა მისთვის. გაკვირვებული მის ბრძანებას დავემორჩილე და დავჯექი. დაიწყო სომეხთა ისტორიის მოყოლა. უეცრად სარდალმა მკაცრად შემანყვეტინა და კიდევ ერთხელ გამიმეორა თუ რას მოგიტოვებდი. მე ვუთხარი, ქართველები უკანონოდ ფლობენ გოლგოთის წმინდა გასაღებს-თქო!

— მერე შენ რაო? — თვალები აუელვარდა სარდალს.

— მე დავაპირე რჯულისა და ისტორიის ლოგოსი გამეცნო ურჯულო არაბისათვის, მაგრამ მან, უეცრად, ხელი აიქნია და მითხრა:

— აქ მეორევერ აღარ დაგინახო, გამოეთხოვე ქართველების შეცილებას გოლგოთისათვის. იცოდე, მათ უკან მეფე დგას, რომელიც თქვენც გიცავთ და წმინდა გულის მოკავშირეა ჩემი სულთნის.

— ჰა, ჰა, ჰა — გაეცინა იგნაციოსს და მისი სიცილის ხმაზე მარტიროს ეპისკოპოსის ლანდი სადღაც გაჰქრა, ხოლო სამკითხველოს სხვა მაგიდებზე მჯდომი ბერები განცვიფრებული ვილაყ ბერის უადგილო ხმოვანებით, შემოტრიალდნენ და იგნაციოსს დაუსწყეს თვალიერება. ბერს გაუკვირდა, რადგანაც ზოგიერთ მათგანს შარავანდელის მაგვარი ნათება შეუმჩნია.

— გადავიტვირთე მუშაობით, ეს მარტიროსიც ძალიან მახალსებდა, მაგრამ გაქრა, — თავს იკავებდა სიცილისაგან იგნაციოს ბასკონიელი და გველის ფორმის მქონე ფოლიანტიბის ახალ-ახალ ხვეულებს ხსნიდა.

„ეგვიპტელი მამლუქების ბრძანებით, ერუსალიმის ჯვრის მონასტერთან მუდამ მდგარა საგანგებოდ არაბი მოხელე, რომელიც ქართველ მომლოცველებს ალექსიდან იერუსალიმამდე მიაცილებდა და უკანაც გამოაცილებდა, მაშინ როცა ფრანკებს, რომეებს და სხვათ კინისკვრით გამოაგდებდნენ ხოლმე წმინდა მიწაზე შესვლისას გამართული რიგებიდან, სადაც იდგნენ, ესპანელი, იტალიელი, გერმანელი და უფლებისათვის ფულს იხდიდნენ.“ — ლაღადებდა ბერი.

რა თქმა უნდა, როცა ასეთი ძლიერები იყვნენ, ისინი ჩვენი რჯულის მქადაგებლებს უშენდნენ, ბიზანტიური სკეფისის გარეშე აგულიანებდნენ ჩვენს მისიონრებს, რომელთა გულუბრყვილობა უსაზღვრო იყო და ისინი რომში მხოლოდ თავიანთი პროპაგანდის წარმატების შესახებ ინერგობდნენ. რომსაც კი სჯეროდა! ან იქნებ არ სჯეროდა? — უმალ სკეფისის გაცხოველდა ბასკის გონებაში.

„სჯეროდათ, უნიასაც სჯეროდათ! ან ეჭვი როგორ უნდა შეეპარათ, განსაკუთრე-



აია სოფია

ვიუტადაც. — ფიქრობდა იგნაციუსი, როდესაც ხვარაზმელთა წერილს კითხულობდა, რუსუდან მეფისათვის მიწერილს.

საინტერესოა, რატომ არ შემოიტყუეს ხვარაზმის სულთანმა? გამოეყენებინათ მისი ჯარი და ერთად ებრძოლად მონღოლების წინააღმდეგ. რა მოხდებოდა ნეტავ, ასე რომ მოქცეულიყვნენ? — ჰკითხა თავის თავს იგნაციუსმა და ამ დროს მის თვალწინ კავკასიის ხატება წარმოჩინდა.

„აი, წარმოვიდგინოთ, რომ მონღოლთა ჯარი კავკასიაში ვერ შემოდის, იგი, ნავარდობით გვერდს უქცევს დარიალის კარებს და დარუბანდისაკენ გაეშურება. აქ კი ხვარაზმელები დგანან. მათაც უქცევს მხარს მონღოლთა მონინავი რაზმი და იგი უკან ბრუნდება. მაგრამ ეს ყოველივე ხომ არ მოხდა — ბრალდება საკუთარ თავზე ბერი, რომელიც ფოლიანტიბის შემდეგ გორაკს მიუჯდება და მათ კითხვას იწყებს.

„დამცირებულია იბერია აღმოსავლეთისა, როგორც ისინი თავს უწოდებენ საქართველოს, დიპლომატიის უქონლობის შედეგად, მტერთა საჯიჯგნად შეიქმნა. ჯერ ხვარაზმელი არბევს მის დედაქალაქს, შემდგომ მონღოლი. მათ მოჰყვებიან მცირე აზიელი თურქნი. და აი, მოდის 1439 წელი. ჩვენი მისია გაცხოველებული საქმიანობს დასუსტებული იბერიის კათოლიკედ მონათვლისათვის. ესაა მცდელობა ძმების, დების, შვილების, მამებისა და დედების დაბრუნებისა. ტარდება ფერარას მსოფლიო კრება 1439 წელს, თებერვალში რომ შედგა, მას ესწრებოდა ბიზანტიის საკმაოდ დასუსტებული იმპერატორი იოანე VIII პალეოლოგთა გვარისა. აქვე ბრძანდებიან კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოსებ, რუსეთის მიტროპოლიტი ისიდორე, იბერიის მიტროპოლიტი გრიგორი, კიდევ ასორმოცდაათი ეპისკოპოსი და ორდენის მაგისტრი. და რა ხდება შედეგად? — ჩურჩულით კითხულობს ბერი. კითხვით დატყვევებულს, უკვე აღარც ახსოვს რამდენჯერ დალაშქრა და გათენდა.

1439 წლის ივლისში კრებაში მართლმადიდებელი და ლათინური ეკლესიების გაერთიანების გადაწყვეტილება მიიღო და აქტივც გამოსცა, სადაც შემუშავებული იყო არსი, რომის პაპის უზენაესობით ამ დიდებული კავშირისა. მაგრამ ვინ წავიდა გაერთიანების წინააღმდეგ? ეფესოს მიტროპოლიტი მარკუსი და განსაკუთრებით ქართველთა მიტროპოლიტი ღირსი გრიგო-

რე სართულზე რა უბედურება სუფევდა, ეეჰ! — იგნაციუსის გონება საგონებელში ჩავარდა, რადგან უეცრად წმინდა აია სოფიას მეორე სართულზე მოხვდა 1454 წელს.

„პატრიციები დაჰპოცეს, მათ ცოლებს მონებად ჰყიდნან, მათი ქალიშვილები ბაზარში მიჰყავთ, სადაც მათ ოსმალები, როგორც თხებს ისე ყიდულობენ, მანამდე კი ყველას აუპატიურებენ. ბევრი თავს იკლავს იმავე ღამეს, პატრიციების დედები, დები, შვილები და ცოლები დაბოროტად მიჰყავთ, გზაზე ისინი მათი მამების, ქმრების, შვილების მარგვლებზე წამოცმულ სხეულებს გაჰყურებენ. მათ სისხლი კიდევ მოსდით. სხეულები ჯვრაც ცოცხლები არიან. ისინი დაბლა იყურებიან და თავიანთ ცოლებს უკანასკნელი მზერით მიაცილებენ. ცოლები კი ქმრებს თვალს არიდებენ და ალიბეთს ჰარემში მოხვედრაზე ოცნებობენ. ქალები მუდამ პრაგმატულები არიან...“ — საზარელი წარმოსახვით გაბრუნებული იგნაციოს ბერი და ნიგნს ბიზანტიის დაცემის შესახებ ხუროავს!

ეს არაფერ არ უნდა ნაკითხოს, თორემ რწმენა შეერყევთ — ჩურჩილებს იგი და აია სოფიის ლანდი უეცრად ქრება. კვლავ პატრიკის ნიგნთსაცავის ჯურღმულია მის წინ, სადაც ნიგნები, დამნაშავეებივით არიან ჩაკეტილი.

— კარგია, რომ აქ მხოლოდ ჩვენ ვართ! — ხმაშლია ამბობს იგნაციუსი და სამკითხველო ჭაში გაბნეულ მოპარსულ კინკრობებს გაჰყურებს. მისი ხმა იწვევს ექოს და მასთან მარტრის ბიბლიოთეკის მცველი ბერი ჩერდება:

— ერთხელაც კიდევ ამოიღებ ხმას და გაგაგვდებთ აქედან! — ხმას უწევს ნიღბიანი მცველი.

— ბოდიში. ჩუმად ვარ! მაპატიე — ჩურჩულით პასუხობს იგნაციუსი და მცველი ქრება.

„დავრჩით მარტო შიშველ სიმართლესთან? — უელვებს თავში იგნაციუსს — „ზევიდან ორგანიზებული რწმენაში, ხანდახან ყველაზე დიდ ურწმუნობებს გადააწყვდები!“

„რომის პაპს ფერარის უნიის არცერთი მუხლი არ შეუსრულებია საწყალი ბიზანტიისათვის. კონსტანტინოპოლის მოწინაურებისათვის გადადგმული ნაბიჯები არა მარტო სოფისტური იყო, არამედ მგლურიც. გულკეთილ და პირდაპირ ბასკს ერთი ისეთი დოკუმენტი შეხვდა, რომ მან მისი გონე-

ლიან სასაკლაოზე საპასუხოდ,“ — მილულა თვალები ბერმა.

საბუთებიდან კარგად ირკვევა, რომ რომის პაპს, კალქსტოს თავისი პირადი თანამზრახველი და მეგობარი ლუდოვიკო ბოლონიელი გაუფლავა კავკასიაში.

შემინებული ჩანან იბერიელი. ოსმალეთის მიერ ბიზანტიის გადაყლაპვამ ისინი გამოაფხიზლა! აბა რა სინდისით სწერენ ისინი წმინდა პაპს, რომ უკვე შერიგდნენ და აქ მზად არიან დაუნყონ ომი ოსმალებს როდესაც თქვენ უბრძანებთ!“ — ჰა, ჰა, ჰა, რა უეცარი მორჩილებაა, ოსმალების შეგეწმინდათ? — მოულოდნელად გადაიხარხარა იგნაციო ბასკმა და მისკენ საცავის ორი მცველი გამოემართა.

— ადვილ ახლავ და დასტოვე საცავი! — თქვა ერთმა მცველმა — მივიდვიარ, — დაუტკობ ტონი იგნაციუსმა და საცავის ლაბირინთიდან თავის დასაღწევად, კედელზე ჩამოკიდებულ სავალ გეგმას შეავლო თვალი. შემდეგ კიბეს მიეჭრა და ფართხაფურთხით აირბინა სპირალისებური კიბის ვ სართული, შემდეგ გრძელ დერეფანში შევარდა და იქვე დომინიკანელთა ბერს შეხვდა, რომელსაც იცნობდა.

— მამაო ლაერტ, ხომ სწორად მივიდვიარ, გასასვლელისაკენ?

— არა, ღირსო იგნაციუს, პირიქით, თქვენ დაბლა ჩამოსულხართ! ახლა დაბლა ეშვებით, საწინააღმდეგო მიმართულებით უნდა იმოძრაოთ, — თქვა მამა ლაერტმა და გზა განაცნო.

იგნაციოსი იქვე კიბეზე ჩამოჯდა და აზრების მოკრებას შეუდგა.

მეორე დღეს იგნაციუსი, მინდვრის თავივით მიიძურნა ნიგნთსაცავთან, საშვი ანახა დაცვის ოფიცერს, რომელმაც მკაცრად შეათვალაიერ-შემოათვალაიერა ბერი და არაფერი უზამსუხა მას.

— შემოვიბთ, საცავში, უწმინდესი იულიანე შარტრელის დავალებით ვარ აქ და არა საკუთარი სიცილით. — ამოიჩინა იგნაციუსმა და ისიც გაიფიქრა, რომ ეს ნიგნთსაცავი ნეტა დაეწვა ვინმეს, რადგანაც მის მნიშვნელობას იმ მთავარ საქმეში, რასაც რწმენის განმტკიცება ჰქვია, იგი ვერა და ვერ ხედავდა.

— თქვენ დაარღვიეთ შინაგანანესი გუშინ, ამიტომაც ვერ შევიშვებთ! — თქვა დაცვის ოფიცერმა და თავი ზევით ასწინა.

— რა გქვია ოფიცერი? — იკითხა იგნაციუსმა.

— არა აქვს ამას საქმესთან რაიმე კავშირი. — იყო პასუხი.

— იცი კი, საერთოდ, რას სდარაჯობ? — იკითხა იგნაციუსმა და დაცვის ოფიცერს დამცინავი, მაგრამ უწმინდესი ღმირი „ესროლა“.

— რწმენა! — იყო პასუხი.

— შენ არაფერი იცი, როგორც ჩანს. აქ დარაჯობ ურწმუნობას. გირჩევნია აილო ეს ხმალი, ან შენი ალმხარე და მისდგე — ხმა აუკანკალდა იგნაციუსს, რომელსაც პირველად თავის ცხოვრებაში გულყრა დაემართა და ოფიცრის ფეხებთან დაეშო.

— წყალი, სასწრაფოდ! — შესძახეს ნიგნთსაცავის დამცველებმა.

იგნაციუსის სული სადღაც შორს მილივევებდა ამ დროს, ზღვას უახლოვდებოდა. მშვიდ ზღვაში სურდა დაწოქმა. ვილაყ უცნობებს ბოდიშს უხდიდა იგი. ჩამავალი მზის ბილიკზე მისიერობდა და, უეცრად, თვალი გაახილა ეტყობა წყლის დიდი ჭავლი მოხვდა და ან ფეხებით დაჰკიდეს, იქნებ, სულაც, ენა ამოაცალეს მკრეხელობისათვის — ვინ იცის? ყველაფერი სტკიოდა და შარტრის საოსტიგნობა იწვა.

ქუქური მებრძოლი

(დასაწყ. იხ. N1-N2)

...ჯავახეთის ნატანჯ-ნადარცვი და გადამწვარ-გადაბუგული სოფლები თავისი მკვიდრი მოსახლეობის დაბრუნებას უხვთოვლიანი და მთვარიანი ღამით ეგებებოდა...

„სოფელში გვიან ღამე შევიდით, მინური სახლებიდან აქიქ ამოდოდა კვამლის ბოლი, ეტყობა, ზოგიერთები წინა დღით დაბრუნებულიყვნენ. ჩვენი სახლი სოფლის საყდართან ახლოს იდგა. რომ მივუახლოვდით, დიდი ოთახის ბუხრიდან ამოსული ბოლი შევნიშნეთ. მშობლებმა იფიქრეს, ალბათ ვინმე შემოსახლებულიყო. იქვე ღობიდან კატა გადმოხტა, დედაჩემს კაბის ბოლოზე კუდი მიუცაცუნა, ჩვენც გავგეხარდა და მოვეფერეთ. დატოვებული 45 ძირი ფუტკრის სკებისგან ნატამალიც არ დარჩენილიყო, ჩვენი ქოფაკებიც არსად ჩანდნენ. სახლის კარები მანამ არ გავვიღეს, სანამ ჩემმა ძმამ, ვინომ, მაუზერი სამაჯერ არ გაისროლა.“

ჩვენს სახლს დაპატრონებოდა ახალციხის მაზრის სოფელ ორგორიდან ათამშა, ორი ცოლით და სამი ბავშვით. დედამ, თურქული ენის დიდებულად მცოდნემ, ათამშას ცოლების მონონება დაიმსახურა, საბჭოლიდან თივა მოგვატანინა, ბუხარი დაანთო, სითბო და სინათლე ერთად მივიღეთ. შემდეგ ათამშას ცოლებთან ერთად ბუხარში ერბოიანი პურები დააცხო და დავგაპურა. მკვდარივით ჩაგვეძინა, დილით გავიგეთ, ათამშა გაპარულიყო, დაუტყვირთია 12 ხარკამეჩი ჩვენი ამბრებიდან მოპარული ხორბლით და ქერით, სამი ურემი თივაც ზედ მიუყოლებია. დედამ მორჩენილი პურებით გამოგვეკვება, შემდეგ გავვარდით სოფელში, ჩვენი თანატოლების მოსაძებნად, მაგრამ სისხარული მწუხარებით შეგვეცვალა, ბევრი ჩვენი თანატოლი ლტოლვი-

ვენ მთელ ურემების ქარავენებს; მიაქვთ ყველაფერი: ტანისამოსი, ფული, ურმიდან ხარებს ხსნიან და ასე უმნარებენ დღეს ისედაც დარბეულს ჯავახეთის გლეხობას... („ერთობა“ 1919, N269).

გაზაფხულამდე რეზაში ჩარჩენილი ბერიძეების ერთი ოჯახის უხუცესები გვიყვებოდნენ – „ნალიკიდან წამოსულებმა, რომ გვეგონა, მშვიდობით მოვალნიეთ თითქმის სოფლამდე, ამაღლებით სალოცავითან ურმით მოკლეთ ავიჭრით და ის იყო ზეგანს თვალი გადავავლეთ, რომ ხუთი შეიარაღებული ყაჩაღი წამოგვადგა თავს – აბა რაც კარგი გაქვთ, გაიძვრეთ, გაიხადეთ და მოგვეციეთო. ურემზე ახალგაზრდა

ვად დავეყენებინა, თან გააფრთხილა, არავინ გადაემალა, თორემ სასტიკად დაიჯებოდა 25 როზგის დარტყმით. ამასობაში კი იაკიფ-ბეგის ბრბო სოფელში აგროვებდა ხალიჩებს, ფარდაგებს, ჭურჭელს ნასალებად. ილიკო ფანჯაკიძის ორი ხარი დაკლეს და არყის ქვაბებით შემოდგეს მოსახარმად. მამაჩემმა ზრდილობისთვის იაკიფ-ბეგს მოსაუბრედ მისი მოადგილე ფანჯაკიძე დაუტოვა, შემდეგ სოფლის გზის თათრულად მიმართა, იაკიფ-ბეგის გასაგონად, იობ ფანჯაკიძის ცხენი მოეყვანა, ასე უფრო ჩქარ-ჩქარა შეძლებდა სოფლის შემოვლას და ქალუბის ქალამი გაეყვანას.



ძველი სკოლა

ერთი ჯავახური სოფლის

ლობაში დაღუპულიყო“ (ვ.კ.)

ასეთი ტანჯვა-წვალებით ხალხი კი დაუბრუნდა მშობლიურ სოფლებს, მაგრამ ბევრს საკუთარი ფუძე-კერა „ხუფანისგან“, ასკრებისგან და ბოლოს „მეზობელ-მოთალანებისგან“ ერთიან გაძარცვულ-გავგრანებული დახვდათ.

„სოფელში ნახავდით დამწვარ-დაბუგულ, გაძარცვულ სახლებს, შიმშილისგან დაუძლურებულ, მოლასლასე ადამიანებს, გადარჩენილ მოსახლეობას სიცვიით და შიმშილით დაღუპვა ელოდებოდა“. ერთეულ ოჯახებს გაუმართლათ, ვისაც ქერის ორმოვებში ისე საგულდაგულოდ ჰქონდათ ხორბალი გადაამალული, რომ მოთარეშებმა ვერ მიაგნეს და ვერ მოახერხეს მათი დაცლა. სოფ კოთელიაში საბავშვილების ეზოში დღემდე ეტყობა ქერის ორმის მიწაში ჩამარხული მრგვალი ყელი, რომელიც რეზიდან დაბრუნებული მათი შაპის ფალაბობას ხელუხლებელი დახვედრია. შიგ იმდენი ხორბალი ყოფილა, რომ

რძალი გვეჯვდინა, რომელსაც მგზავრობისგან გადადიდობდა ღრმად ჩასძინებოდა. ყაჩაღებმა იკითხეს, ურემზე რა გაქვთ, ზედ რომ წევს ვინაა, რა სჭირსო? დიდი ბაბო არ დაიბნა, ჭკუა იხმარა, მოატყუა – შვიი ჭირი სჭირს, სიცხისაგან ისეა გათიშული, არ ვიცით, სახლამდე მიაღწევს თუ არაო? ამის თქმა ყოფილა და ყაჩაღები ისე დამფრთხლან, ერთმანეთისთვის შეუძახიათ – წამომავდით, არაფერი გადაგვდონო და ისე მიუტურცხლიათ, რომ უკან არც კი მოუხედავით.“ ასეთი კურობებიც ხდებოდა თურმე.

სახლებში ტანჯვით დაბრუნებულ და ჯავახეთშიც კიდევ არაერთხელ გაძარცვულ-გამეტებულ მოსახლეობას ძალიან გაუჭირდა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მცირედი ფქვილი (1-2 გირვანქა) და სიმინდი კი გაუნაწილა მოსახლეობას, მაგრამ ისე ცოტა იყო, რომ ხალხს სულის მოსათქმელადაც კი არ ეყო.

არ იყო პური, არ იყო სამუშაო, არ იყო ფული...

გაქცევებისას ისედაც განახევრებული და ტანჯვით დაბრუნებული ჯავახეთის მოსახლეობა ახლა უკვე შიმშილით იხოცებოდა.

ალარ იცოდნენ ბავშვები რით გამოეკვებათ, ავადმყოფებისთვის როგორ ეწამლათ, კერა და მოხუცები როგორ გაეთბოთ?!

ამ გაუსაძლისი სიტუაციის გამო ბევრი ჯავახი, მათ შორის კოთელიელიც, სამუშაოს საძებნელად საქართველოს შიდა რეგიონებიკენ დაიძრა.

ასე გაუბედურებულ, დამშულ და დაუძლურებულ ხალხს საკუთარ კუთხეში სიმშვედე კიდევ კარგა ხანს არ ელირსა!...

თურქი ასკერების და თათარ ჯურის (ბორჩალოელი თათრების და ქართლი-ბაკურიანიდან ამოსული ოსების, ადგილობრივი გარენების) ბანდები კვლავ დათარეშებდნენ ჯავახეთის ქართულ თუ სომხურ სოფლებში, ძარცვავდნენ ხალხს, აუბატურებდნენ ქალებს (ბევრმა დედა და ყინახალმა ქალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა), იტაცებდნენ ჯოგებს, ქალებს, ბავშვებს, ჭყვედ მიჰყავდათ მამაკაცები, დაუნდობლად აყაჩაღებდნენ ყველას, ხოცავდნენ ხალხს!

ამიტომაც იყო, რომ 1919 წლის ერთ-ერთ ნომერში გაზეთი „ერთობის“ კორესპოდენტი სამართლიანად წერდა: „ჯავახეთში არაფერი არ აწუხებს ესლა ჯავახს ისე, როგორც ყაჩაღობა“. ამ მოვლენების უშუალო თვითმხილველი, ჩვენთვის უკვე ნაცნობი კოთელიელი ვლადიმერ კოპტონაშვილი ასეთ ფაქტს იხსენებდა:

„1919 წლის თებერვლის თვე იდგა, თოვლიანი და ყინვიანი, გაზაფხულის ნიშან-წყალიც არსად ჩანდა. ახალციხიდან მომავალ გზაზე დამებარე სოფელ ვარციხის მხრიდან ჩვენს სოფელს კოთელიას მოადგა შაშხანებით შეიარაღებული ასკერების ბრბო, ორასზე მეტი იქნებოდა, მოედნენ სოფელს, შევარდნენ სახლებში დაიწყეს დარბევა. როგორც შემდეგ გაირკვა, ბრბოს მეთაურობდა ახალციხელი მოლის შვილი იაკიფ-ბეგი, მისი სამი მცველით. მოგვადგა ჩვენც, მამასახლისის მოკითხვის მიზნით (მამაჩემი არჩილი სოფელმა მამასახლისად დანიშნა). მამამ იაკიფ-ბეგი მიიწვია ბიძაჩემის თედოს ოდა სახლში, სადაც კრებები იმართებოდა ხოლმე. სოფლის გზირმა თედო წინწკალაქემ ჯავახური ნივით ბუხარში ცეცხლი დაუნთო იაკიფ-ბეგს, რომელმაც მამასახლისის უბრძანა, სოფლის ქალ-რძალი მოეგრევიანა და ქალში მსკრი-



არჩილი შეჯდა ცხენზე თუ არა, იმ თოვლიან, ქარბუქიან ამინდში მოჭურცხლა სოფელ გოკიოსკენ, სადაც ეგულეობდა ამ სოფლის უფროსი გამაჰმადიანებული ასად ალა, გვართი მანაბელი და მოუხსენებია იაკიფ-ბეგის განძრავების შესახებ. ასად ალას მიუღია გადაწყვეტილება, სოფელ კოთელიაში გამოეგზავნა ასი გიფი „ოუზ-დალი“, სოფელ გოკიოს შეიარაღებული რაზმი, მეთაურად კი თავისი სიძე – დის ქმარი გიფი „ალია“, გამაჰმადიანებული აბაშიძე დაუნიშნავს.

დედა, როგორც სხვა დროს, ახლაც სოფლის მცხოვრებთა გაჭირვებას ჩემი საშუალებით შეიტყობდა ხოლმე, ამზადებდა მცენარებისგან ნაყენებს, მალამოებს და მე მიმეცინა ავადმყოფებთან, ბავშვებს, ჭყვედ მიჰყავდათ მამაკაცები, დაუნდობლად აყაჩაღებდნენ ყველას, ხოცავდნენ ხალხს!

გოკიოდან მოსული რაზმის უფროსი „გიფი ალია“, მამასახლისი არჩილთან ერთად, იაკიფ ბეგს მიადგა ოდა სახლში, ბუხართან გასათობად მიმვდარს. გიფი ალია შეარქვეს თანასოფლელებმა, რადგან ის ყოფილა ძალზე გულადი, გამბედავი, ბრძოლაში შეუპოვარი და სამართლიანი. იაკიფ-ბეგს შესვლისთანავე შესძახა, ამდგარიყო ფეხზე და ისე მოეხმინა მისთვის: „შენ ახალციხის მოლის შვილი მამაშენმა ის გასწავლა, უდანაშაულო, განამებული დევნილი ხალხი დაარბიო, გაძარცვო, გაუბატონო ქალ რძალი, შენ რომ აქედან წავითრევი, ჩვენ ამ სოფლის მცხოვრებნი რას გვიჩაქნის“. შემდეგ მიუბრუნდა მამასახლისს და სთხოვა, მოეტანა მისთვის ნავით, რათა ოდაში გამოეწვია იაკიფ ბეგი თავისი მოადგილეებით. მე იქვე მამის გვერდით ვტრიალებდი, თათრული კარგად მესმოდა და ყველაფერი ვავიგე. გავიქეცი დედასთან, მოვეყვი რასაც აპირებდა გიფი ალია, დედამ თავში

ხელები შემოირტყა, თავშალი გადაავლო და გამოიქცა, ალიას ფეხებში ჩაუვარდა, ნუ ჩამა ამა-სო, თურქული ენით მიმართა, ჯერ მე დამწვი, შემდეგ ეგენიო. ამასობაში იაკიფ ბეგი გამოვიდა ოდიდან თავისი მხლებლებით და პირობა მისცა გიფ ალიას რომ სოფელს დატოვებდა. ეს ამბავი ისეთ მოკლე დროში მოხდა, რომ მოძალადეებმა არყის ქვაბებში მოთუხებულ ხორცის შექმნა ვერ მოასწრეს, შემდეგ ეს ხორცი სოფელში დავარიგეთ. იაკიფ ბეგის ბრბო ზღაზღვით დაადავა ვარევის გზას, ალიამ გააფრთხილა იაკიფ ბეგი, ვარევიანც ჩვენი მეზობელი სოფელია და ხვალ ჩემი რაზმით იქ მოვალ. შემდეგ გავიგეთ, ვარევიანში ერთი ხარი შეუჭამიათ, ვითომ მოსახლეობას თავისი სურვილით დაუკლავს.

ალიამ მისი რაზმი კოთელიაში ათ დღეზე მეტი დატოვა, რათა მოხეტიალე ასკარების ჯგუფებისგან სოფელს თავი დაეცვა. გოკიას თათრები ამ დამცველ რაზმს უგზავნიდნენ ცხვარს, საქონელს, პურს საკვებად... (ვ.კ.)

გოკიელ გამაჰმადიანებულ ქართველებთან კოთელიელების მეგობრობაზე და ურთიერთ თანადგომაზე ჩვენი პაპები ძალიან ხშირად გვიყვებოდნენ. კოთელია და გოკიო ფაქტურად მოსაზღვრე სოფლებია, შუაში ერთი მომცრო ქელი გვიხის, თანაც ორივე ჯავახურ სოფელში მუდამ ვაჭაკი და მამაცი ხალხი ცხოვრობდა, რომლებიც ოსმალების ორსაუკუნუნახვერიანმა ბატონობამ სარწმუნოების მხრივ კი გაყო და თითქოს სულიერად დააცალკევა, მაგრამ ურთიერთ პატივისცემა და კაცური ღირსების დაფასება ვერ დაუკარგა, მეგობრობა ვერ მოუშალა.

1919 წლის თებერვალში ახალციხის ფრონტის შტაბის უფროსად დანიშნულმა გონიერმა და მამაცმა გენერალმა გიორგი კვიციანი თავისი ჯარით ახალციხე პროთურქი სეპარატისტებისგან განწმინდა. მარტში ასახინდა და ახალ-

ქალაქი, ხოლო აპრილში არტანუჯი დაიკავა. ქვეყანა ცოტა დაწყნარდა, მაგრამ 1918-1919 წლების ომებმა, რასაც სიღუბნეობა და შიმშილიც დაემატა, ჯავახეთის მოსახლეობა უაღესად დაზიანა, ქართული მოსახლეობის რიცხოვნება ხომ კატასტროფულად შემცირდა. საქართველოს მთავრობის სპეციალურმა კომისიამ მათი რიცხოვნების გაზრდის რაღაც ღონისძიებებიც კი დასახა, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი გააკეთა. ჯავახეთისთვის სათესლე ხორბლის გადაცემა კი მოახერხეს, მაგრამ საქმარისი არც ეს აღმოჩნდა. მითუმეტეს, უამინდობებიც დაემთხვა და ნათესები სულ გააფუჭა. მიუხედავად ყველაფრისა, 2019 წლის შემოდგომით ნაწილობრივ ადგილზე თუნდაც მცირე მოსავლის აღების, ნაწილობრივ მთავრობის დახმარების შედეგადაც, ჯავახეთში მდგომარეობა შედარებით მაინც შემეშუბლებულა. ამის თაობაზე ადგილზე არაერთხელ მივლინებულნი ვაზუთ „ერთობის“ მამინდელი კორესპოდენტი ვამეცნობს: „საერთო მდგომარეობა ჯავახეთისა იმაზე უკეთესია, ვიდრე ზაფხულში იყო. შიმშილის სიმწვავე გაწვლულია, რადგანაც მცხოვრებნი საკმაოდ ღებულბენ ამერიკულ თეთრ ფქვილსა და სიმინდს. სულიერი განწყობილებაც ხალხისა მომავლის იმედით მაღლა აწეულია...“ („ერთობა“ 1919, N269).

მომავლისადმი სწორედ ასეთი ჩაუქრობელმა იმედმა, საოცარმა გამძლეობამ და თავდადება ჯავახეთის მოსახლეობას ამ ყველაფრისთვის გააძლგინა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლომდე ვერც მოასწრეს დამშვიდება და სულის მოთქმა, რომ 1921 წლის თებერვალში ახლა უკვე ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალი ოკუპაცია და გასაბჭოება მოჰყვა.

მამის მოსკოვის და ანკარას ინტერესები ბევრ რამეში დემთხვა. ორთავის უჭირდა და დახმარების ხელი გაუნთავისთია. თანაც, რა ანაღლებლად, თუ ეს ყოთიანე სხვათა მინების ხარჯზე მოხდებოდა. ბოლშევიკებსა და ქემალისტებს შორის 1921



წლის თებერვალში დანეხებული მოლაპარაკება მარტში შეთანხმებით დასრულდა, რომელიც მალე უკვე ყარსში დადებული ახალი ხელშეკრულებით გაფორმდა. ამ შეთანხმების ძალით კვლავ თურქეთის ხელში გადავიდა (ამჯერად, ალბათ, უკვე სამუდამოდ) საქართველოს ისტორიული მხარეები: ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, კოლა არტანუჯი, ერუშეთი, ჩრდილი, ფოცხოვის ხეობის ნაწილი. იქით დარჩა ისტორიული ჯავახეთის ნაწილიც.

ქემალისტებმა იგრძნეს რა საოკუპაციო მთავრობის მხრიდან უფურცაღებობა, ვიდრე ხელშეკრულებები საბოლოოდ გაფორმდებოდა და საზღვრები ჩაიკეტებოდა, შეეცადნენ კიდევ ერთხელ თურქეთის ენახათ და ისევ მოიქნის კული. თურქებმა 6 მარტს ახალციხეც კი დაიკავეს და მოკლეს ხნით, ალაგალაკ, სადაც მოიხელთეს, კიდევ ერთხელ აანიოკეს სამცხე-ჯავახეთის მამაკე და მრავალჭირნახელი, მაგრამ ახლა უკვე გაღატაკებული და მისავათებელი მოსახლეობა. საბედნიეროდ მათი ეს ბოლო ბოგინი დიდხანს არ გაგრძელდება, ბოლშევიკებმა თანდათან მოახერხეს და შეძლეს ქემალისტებთან შეთანხმებული საზღვრების გაკონტროლება.

ასე მოკლე პერიოდში, მიჯრით განვიტარებული ამ ტრაგიკული მოვლენების გამო, დიდი რაოდენობით ოჯახის წევრების და ახლობლების დაკარგვის გულდათუთქულმა, გაძარცვულმა და განანახებულმა, სევდიანი შეხრებით, მაგრამ საკუთარ მინაწყალზე უზომოდ შეყვარებულმა კოთელიელებმა, როგორცაა გაუძლეს. ყველა ტკივილი და ჭრილობა მოიშუშეს, გატაცებული ოდა-სახლები შეაკეთეს, შეაკონსერვებინეს და ჭირსაშიგან გამაგრებულებმა ცხოვრება ისევ ახლიდან დაიწყეს. მაგრამ ჯერ იყო და ძალად თავსომხვეულ სოფლად სამეურნეო

შირის ერთადერთი თვითმარქვია სამართალმემკვიდრე, საქართველოს ნაწილების ოკუპანტად მოგვევლინებოდა, ან სისხლისმძირი მოძიე უკრაინელი ხალხის აშკარა გენოციდზე ნაყიდოდა?! იმ დროს ხალხი თავიანთ მეთულეებს, მამებს, შვილებს როგორც სამამული ომში ისე აცილებდნენ. როცა მამაჩემი და მისი ორი თანასოფელი თანატოლი მეორე დღეს ფრონტზე უნდა ნაეყვანიდა, ადრე ყოფილან ნასასვლელები და წინა ღამეს ყველა ჩვენთან დაუძინა. ღამე ჩუმუძუმად შევიპარებოდით მათთან და ფეხებს ვუკოცნიდით და ვლოცავდით, მათ მშვიდობით უკან დაბრუნებას ვევედრებოდით უფალს. გვიყვებოდა ბებიამეჩემი, შვიდი წლის მერე საბრძოლო უნებლად დაბრუნდა სახლებში, ისე, რომ ფრონტის ხაზზე არც კი გაუწვდიათ. სამსუხაროდ, ბევრს არ გაუმართლა და სოფელში ველად დაბრუნდა.

კოთელიელებმა ამ ომსაც გაუძლეს! ომის პერიოდში ძირითადად ქალების ძალეობით სოფელში წყალი გაიყვანეს, კლუბის შენობა და სოფლის აბანო ააშენეს.

მაგრამ ძვირფასი გენოფონდის დაკარგვამ მაინც თავისი ქნა. კოთელიის მოსახლეობამ ომის შემდგომ წლებში კლება დაიწყო და სამოციან წლებში ძალიან მნიშვნელოვნად შემცირდა.

ჯავახეთში ქართველებისთვის სამუშაო ადგილები ისედაც იზღუდებოდა, ხოლო თანამდებობებზე მათი დანიშნვა მაკაცრად ლიბიტორებზე იყო. ეს ადგილები კიდევ ნაცნობობით სულ ერთიანადვე ხალხს ეკავა. სხვებს, გაცილებით ღირსეულთაც კი, არანაირი გასაქმება არ ჰქონდათ. სხვა სამუშაო არ იყო, ხოლო მინაზე შრომა დაუფასებელი იყო. მხოლოდ მინიმალური შრომადღების გამოიშუშებოდა შეიძლება, რომელთა ანაზღაურება წლის ბოლოს ნატურით ხდებოდა. თითოეულ შრომადღებზე გაცი-

უფრო მეტად დაფასა. ბევრმა ნასვლაზე ფიქრი ამოიგდო თავიდან. პირიქით, ზოგიერთი ქალაქში ნასული უკან დაბრუნდა.

ოთხმოციანი წლებში სოფელში აჭარელი ეკომიგრანტების უზანაც გაჩნდა. მართალია ბევრი მათგანი უკან დაბრუნდა, მაგრამ სოფელი მაინც მოძლიერდა. ბოლო წლებში ახალქალაქში რკინიგზის მშენებლობამ, სამხედრო-სასწავლო ცენტრის გახსნამ და სხვა სასიკეთო მოვლენებმა, ახალგაზრდობა დაასაქმა და სხვაგან ნასვლა გადააფიქრებინა.

ახალგაზრდებმა ეკონომიური პირობები კი გათუმჯობესეს, მაგრამ უჭირთ მცირერიცხოვანი ქართველებში თავიანთი საბედის არჩევა, სხვა კუთხიდან კიდევ გოგონებს არ უხარიათ ჯავახეთში გამომთხოვება. სოფელში დასაქმონებელი 60-მდე ბიჭი მისახედი გვყავს. მარტო საყვედურებით ოჯახების შექმნა გაუჭირდებოდა. შობადობა და სკოლამდელი ბავშვების რაოდენობა ძალიან დაკლებულია. ერთ დროს ბავშვმრავალ კოთელიის სკოლაში (რომელიც ახლა დასავრეულია) მოსწავლეების რაოდენობა გაზრდის მაგივრად კლებულობს, რაც ძალიან საგანგაშოა.

2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით სოფელ კოთელიაში 441 ადამიანი ცხოვრობდა. მაშინ როცა 2002 წლის აღწერისას 490 სული იყო. ჯავახეთის დემოგრაფიულ პრობლემებს სახელმწიფოს მხრიდან მუდმივად განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა სჭირდება, თორემ სამოქალაქო გამორჩეული პრობლემები შეგვექმნება.

სოფელ კოთელიას, როგორც იქნა, ელირსა კარგი სასმელი წყლის სისტემა. ყველა ოჯახს, საკუთარი წყალი აქვს. სოფელი აგრეთვე მთლიანად გაზაფხულისგან არის თავდაჯერებული. თუ ადამიანი მშრომელია, ყველა პირობა ბიჭების კეთილმოწყობაზე, როგორც თანამედროვე ყოფას შევეფერება (პოტენციური სარძოვების გასაგონად!).

სოფლებში დანეხებით ან არასრული საშუალო სკოლები ჰქონდათ. რვანდის დამთავრების შემდეგ სხვა ქართველებით დასახლებული სოფლებიდან მოსწავლეები ამ ორ სკოლაში ნაწილდებოდა. ამასაც იყო სიკეთის ელემენტები. აქ ხდებოდა ისედაც მცირერიცხოვანი ჯავახელი ქართველი ბავშვების ურთიერთ გაცნობადობა. სხვათაშორის, კოთელიის ძველი კაპიტალური სკოლის შენობა, რომელშიც ახლა რიტუალების სახლია განთავსებული, 1928 წელს ახალქალაქის ციხიდან და ქარვასლიდან მოზიდული გათლილი ქვებისგანაა აგებული. მსგავსი რადაცების კეთება კომუნისტებისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა. მისი აშენების საქმეში ძალიან უაქტიურია მაშინდელ საბჭოს თავმჯდომარის რახელ ბერიძეს. სკოლის ამ შენობა ღირსეულად ემსახურა კოთელიის მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმეს, მაგრამ დრომ დააძველა, მინისძვრამაც ნაწილობრივ დააზიანა. სტანდარტები შეიცვალა და ძველი სკოლის შენობა ველარანაირად ვერ აკმაყოფილებდა დროის მოთხოვნებს. საჭირო იყო ახალი სკოლის აშენება. ყველას ეგონა, რომ სახელმწიფო ამხვე ისედაც იზრუნავდა და სოფელი კარგა ხანს მოუთმენლად ელოდა, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. მაშინ როცა ეროვნული მოძრაობის გააქტიურების წლებში და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომაც გარემო სომხებით დასახლებული სოფლებში, ფაქტიურად ყველგან ახალი კაპიტალური სკოლის შენობები აშენდა, ახალქალაქის და კოთელიის ქართული სკოლების შენობების მშენებლობა არა და არ დაიწყო. ბოლოს, როგორც იქნა დაიწყო და მშენებლობა წლობით გაგრძელდა. ხოლო ახალქალაქში კარგი კაპიტალური სკოლის შენობა ააშენეს, მაგრამ კოთელიაში დანეხებული სკოლის შენობა საერთოდ ვერ დაამთავრეს და უწყურადღებობით გაიძარცვა.

ბოლოს ხეწნა-მუდარით, მომცრო არასტანდარტული და პერსპექტივაზე გაუთვლელი სკოლის შენობა, როგორც იქნა აშენდა, რამდენიმე წელი ფუნქციონირებდა, მაგრამ გასული წლის შემოდგომით ეს შენობაც ნაწილობრივ დაშალეს და კოთელიის ბავშვები ბარალეთის ქართულ სკოლაში დაჰყავთ და იქ უტარდებოდა ეცადინებოდა. იმედი უკეთესი სკოლა აშენდება, მაგრამ თუ გაზაფხულამდე (ან, იქნებ, ზაფხულამდე?) მშენებლობა არ უნდა დაწყებულიყო, ასე ადრე მისი დასრულება და ბავშვების შევლა მანც რა საჭიროს იყო, ძნელი გასაგებია?

კოთელიელები მუყაითი შრომით, ბრძოლით და სიმამაცით ტოლს არ უდებდნენ არც მუსულმანურ და არც სომხურ მოსახლეობას.

გამორჩეულად ნაყოფიერ მინებს დაცვა და მოვლა სჭირდება.

კოთელიის მიწების დღევანდელი საზღვრების თაობაზეც სოფელში რამდენიმე თქმულება არსებობს:

ზოგიერთის თქმით, მაშინ როცა კოთელიამ გაპარტახებულ-გავერანებულ ჯავახეთში თავიდან დაიწყო დასახლება-მოშენება, ერთ მადლიან კაცს ხარეში შუბლია და კავთი კოთელიის გარემო რაც თავისუფალი და ვარგისი მიწები ყოფილა, მთლიანად შემოუხანაა – შემოუჭყლია.

ზოგი იმასაც ამბობს, რომ ენ „მელის სორობი“ და „არხაჯები“, ვიდრე მურჯებამდე, თოკელი ბატონის (გამუსულმანებული ბეგის) საკუთრება ყოფილა, რომელიც კოთელიელ ალექსი ბერიძემ გამოთხოვილი თავისი ქალიშვილისთვის მზითვეში მიუცია. ასე გაჩენილა ერთადერთი ბატონი კოთელიაში, რომელიც სიმდიდრით გამოირჩეული ყოფილა (მისი ნაქონი სახლი ნაწილობრივ დღემდეა შემორჩენილი და თავის დროზე ყველა სხვა სახლისგან მართლაც გამოირჩეოდა), თორემ სხვა მხრივ ბატონობა თანასოფელებზე არც თვითონ უკადრებია და არც სოფელს შუემნენია.

ეს ამბავი კი დაწამდვით მომხდარა, – მე-19 საუკუნის ოთხმოციანი წლებში რუსულ ხელისუფლებას ცენტრიდან ჯავახეთში მინის მზომელი („ზემლაშერი“) გამოუგზავნია. ეროვნებით ქართველი, თბილისელ კაცს, დროებით სადგომად ქართული სოფელი კოთელია აურჩევია და იქიდან დაუწყია აზომებითი საქმიანობა. მალე რომელიცა სოფელში, ვილაცას მისთვის ძღვენის სახით პატარა მოზვერი უჩუქებია. ისიც ამდგარა, საქონელი მოუყვანია კოთელიაში და ნასვლამდე შესანახად ვილაც კოთელიელისთვის მიუზარებია. იმ რვევენ კოთელიელსაც მისი მოზვერი დაუკლია და შეუჭამია. ამაზე სასტიკად გაბრაზებული და გაბოროტებული „ზემლაშერს“ შური მთელ სოფელზე უძიებია!

ქართული სოფლის კუთვნილი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოუჭრია და სომხური სოფლებისთვის დაურიგებია!

1888 წლის 25 მარტის გაზეთ „ივერიამი“ გამოქვეყნებული ცნობით, სოფლის მიწების საკითხის გარკვევის მიზნით (საგარეო დიპლომატიის მხრივ) ექსპედიციის დასახელებულ ავტ. თბილისში ჩასულან კოთელიის მოსახლეობის „პოვერნიები“ (რწმუნებულები) აბო ბიბილურიძე, ბარნაბა ბერიძე და ანდრო კონსტანტინოვი, რომელთაც არ სცოდნიათ ამ საკითხზე ვისთვის მიემართათ და საქმე როგორ მოეგვარებიათ. როგორც ჩანს, არც ამ პუბლიკაციამ უშეყვლა. ან ბოლომდე ვერ გაარკვეს ვისთვის მიემართათ, ან მიაკვლიეს კიდევ, მაგრამ უშეყვლათ არავინ მიიტანა და აუტკივარი თავი არავინ აიჭკია.

ჩამოჭრილი მიწები კოთელიისთვის არც მაშინ და არც შემდგომ არავის დაუბრუნებია.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

თ ა ვ ბ ა დ ა ს ს ა ვ ვ ა ნ ი

წეს-წყობილების ოსმალურ წესს მთელი ორსაუკუნეახევარი ვერა და ვერ შეეგუვნენ, მერე უკვე რუსულ სასტიკ ბატონყმურ წყობილებას ნახევარი საუკუნე ეურჩნენ, მაგრამ კომუნისტური წყობილება თითქოს ორივე მათგანზე ყოჩაღი აღმოჩნდა, ფიზიკურთან ერთად უდიდესი იყო იდეოლოგიური ნენი და საკოლმეურნეო წყობილება. ზოგმა „სიხარულით“, ზოგმა კიდევ დიდი გაჭირვებით მაინც მიიღეს და, ბოლოს, ისე გაითავისეს, რომ ერთ-ერთი მონინავე კოლმეურნეობა (ჩოღრიშვილის სახელობისა) შექმნეს. მცირე ხანში დიდი და ძლიერი სოფელი კიდევ ერთხელ თავიდან ააშენეს.

მეორე მსოფლიო, ჩვენთან „სამამულოს“ სახელით ცნობილი ომის დანეხებამდე ჯავახეთის მამტახებით კოთელია მართლაც ხალხმრავალი და ღირსიერი სოფელი იყო, მაგრამ სოფლის ზრდასრული მამაკაცების აბსოლუტური უმრავლესობა ომში წავიდა. უმეტესობა გაინვიეს, ბევრი მოხალისედ ჩაენერა.

„სამამულო ომში“ კოთელიიდან სულ 143-კაცი წავიდა. მათგან ნახევარი – 70 კაცი ომიდან უკან ველად დაბრუნდა. ვინც დაბრუნდა – ზოგი ხეიბარი, ზოგი „ნაპლენარი“. დღემდე მიდის დაუსრულებელი კამათი და დებატები – იყო, თუ არა ჩვენთვის ეს ომი სამამულო? ეს დავა არც არასდროს დასრულდება, რადგან მას მერე, რაც ქართველები დავცოტავდით და დავპატარავდით, სულ ასე, ორინტაციის გარკვევაში და, ერთთავად, დაყოფილნი ვართ, ზოგი ამის და ზოგიც იმის მომხრეებად. მართალია 1941 წლიდან, საბოლოოდ ის ომი მართლაც ფაშიზმის წინააღმდეგ ომად გადაიქცა, მთელი მსოფლიო პიტლერის ფაშიზმის წინააღმდეგ გაერთიანდა, მაგრამ არც კომუნისტები იყო უცოდველი წყობა. 1939 წლის გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა ისე გაიყვეს და გაინათლეს პოლონეთი, რომ ოდნავი სინდისის ქნეჯნაც არ უგერძნიათ. ამტკიცებენ – სტალინს პირველი უნდადაო გერმანელებისთვის ომის გამოცხადება, ბერლინამდე კი არა მადრიდამდე და ლონდონამდე ჩასვლა სურდა, მთელი ევროპის განითლებაო. ამის გამო მაშინაც და ახლაც კომუნისტსაც და სტალინსაც ჰყავდა მომხრეც და მოწინააღმდეგეც. მაგრამ ტირანის დროს მოწინააღმდეგეებს ხმის ამოღებას ვინ აცლიდა?! სანინააღმდეგეოს გაფიქრებაც კი იკრძალებოდა. ამიტომ ცოტა მიშის, ცოტა ორგანიზებული აგიტაციის და კომუნისტური იდეოლოგიის რწმენითაც ის უკიდვანო ქვეყანა ბევრს მართლაც დიად სამშობლოდ მიანდა და მისთვის თავის გასაწირად ომშიც უყოყმანოდ მიდიდა. ბევრი მოხალისედაც წავიდა და ფაშიზტებს შეაკვდა. ამიტომ სულაც არ მიკვირს, როდესაც იმ ომში დაღუპული თანასოფელების სადგომი კოთელიაშიც და სხვაგანაც დღემდე მოწინააღმდეგეობით იხმევა. რაც არ უნდა მცდარი ყოფილიყო მათი გადაწყვეტილება (ან ვინ რას ეკითხებოდა), ისინი მაინც ჩვენნი ვართ და პაპები იყვენ, ჩვენი მომავლისთვის იბრძოდნენ, ეგრე ეგონათ, ეგრე სწამდათ. მაშინ რას წარმოადგენდნენ, რომ ნახევარი საუკუნის შემდეგ საბჭოთა კავშირი საერთოდ დაიმსხობდა, მოკავშირე რესპუბლიკები დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდებოდნენ, ხოლო ჩვენი ერთმორწმუნე სულ „მეგობარი“, დასავლელი პოლიტიკოსების სიბრვივის გამო ძალად გადაარჩენილი და გაძლიერებული პუტინის რუსეთი ახლა, როგორც რუსეთის იმპერიის და საბჭოთა კავ-



ამაღლების სალოცავი

მული ხორბლის, კარტოფილის ან ბოსტნეულის და სხვა რადაცების რაოდენობა, ყველა სახელმწიფო ვალდებულების გასტუმრების შემდეგ, საწყობში დარჩენილ ჭირნახულის რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. ბევრჯერ მთელი წლის განმავლობაში გამოშუშავებულ შრომადღებზე კოლმეურნეობის მიერ გაცემული სარგებელი ძალიან მშრომელი გლეხის ოჯახის მოთხოვნილებასაც კი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ ამ გარემოებების გამო ბევრს ჯავახეთიდან ნასვლის და სხვა კუთხეებში, ქალაქებში უკეთესი ცხოვრების მონაცემის სურვილი გაუჩნია. ბევრი წავიდა, ბევრსაც, ერთთავად. სულ გაქცევაზე ეჭირა თვალს. ხალხში და ოჯახებში ისეთი განწყობა შეიქმნა, რომ მშობლები ნიშნისმოგებით მოძღვარდნენ თავიანთ წაღების – ხომ ხედავთ, აქ არავინ გამოგდით, ნადით, შემოგველეთ, თქვენც როგორღე გაიტანეთ თავი ამ დაღუპული ჯავახეთიდან!

მაშინ ქართული სოფლები კატასტროფულად დაიკვალა. კოთელიელები მოედენენ და დაქალაქს, რუსთავს, მათ მიმდებარე სოფლებს, განსაკუთრებით გამარჯვებას, გადავიდნენ უდაბნოშიც კი. კოთელიიდან ნასული ხალხი ცხოვრობს საქართველოს უამრავ კუთხეში. მათი მცირედი ნაწილიც კი, ადგილზე რომ დარჩენილიყო, დღეს კოთელია სულ სხვანაირი სოფელი იქნებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახალ ეკონომიკურ წყობაზე გადასვლა უმტკივნეულოდ არ მომხდარა, სამოქალაქო ომმა პროცესი უფრო გააზანგარძლია. ხალხს, განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობას, ეკონომიკურად კიდევ უფრო გაუჭირდა. ბევრმა გადარჩენის ერთადერთ გზად სოფელი და მინის დამუშავება აიღო, ზოგი დროებით, ზოგი კიდევ სამუდამოდ სოფელს დაუბრუნდა. იმ წლებში კოთელიის მოსახლეობამ მშობლიური ჯავახური მიწის მადლი და ბარაქა ახლიდან დაიწა და

მხარის არქივიანი

გიორგი ზაღანიძე

მიჯაჭვული ამირანის თქმულება ყველაზე ძველი ეპიკური ძეგლია ქართული ფოლკლორისა, ამასთან იგი ერთი უძველესი და უთვალსაზრისო ძეგლიცაა საერთოდ მსოფლიო ფოლკლორში.

(მ. ჩიქოვანი)

ამის გამო გასაგები არის ის დიდი ყურადღება, რომელსაც ამ ძეგლისადმი იჩენდნენ და ამჟამად იჩენენ ჩვენი მეცნიერები.

ამ უკვდავი ხალხური თქმულების ვარიანტები საქართველოს ყველა კუთხეში არის ფიქსირებული. ჩვენმა სახელოვანმა ფოლკლორისტმა პროფ. მ. ჩიქოვანმა კი მის გამოკვლევას ორი გამოცემა უძღვნა. ამასთან, მან თავისი ნივთის პირველ გამოცემას საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ფიქსირებული თითქმის ყველა ვარიანტი დაურთო. კაცს შეიძლება დაეფიქრა, რომ უკვე ჩანერილი ვარიანტები ამირანის თქმულების ჩვენამდე მოღწეულ სახეს ძირითადად ამოწურავდნენ და ახალი ჩანაწერები მხოლოდ უმნიშვნელო ვარიანტულ სხვაობას თუ მოგვცემდნენ. ჯავახეთში მიგნებული ამირანის ამბავი კი გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს ყველა კუთხეშია მოსალოდნელი ამ დიდებული ძეგლის ახალი, მეტად საყურადღებო ვარიანტები იქნეს მოიძებნა.

ეს ვარიანტი, რომელიც ჯავახეთის სოფელ ჩუნჩხის მცხოვრებ გარსა (გარსევან) სოლოს ძე ბერიძის (77 წლის) თხრობით, ვფიქრობთ, ამირანის თქმულების ერთ-ერთი შესანიშნავი ვარიანტია. იგი, პირველ რიგში, იმით იმპროვირებულია, რომ მასში ცოცხლად გამოსჭვივს ადრეული ხანის მითოლოგიური შეხედულებანი; ამასთან „ამირანის“ ეპოსის ასახსნელად იძლევა რამდენიმე ახალ მოტივს:

1. გამოქვეყნებულ „ამირანის“ ვარიანტების მიხედვით, ამირანს ძალ-ღონეს ქრისტე ღმერთი ანიჭებს, ჯავახურ-ბერიძისეული ვარიანტის მიხედვით კი ამირანს ესიზმრება: რომ უნდა მიეცეს „სამი ადელეგებული წყლისა და სამი ადელეგებული ქარის ღონე“. ამავე ვარიანტის მიხედვით, თვითონაც მათივე ხასიათისა ხდება: შემდეგ გორასთან რომ მიდის ამირანი და მას მიმართავს: „გორაო, შენ გორა ხარო, მე ვერ დაგვაბეძებო, მარაო ეს ღონე საიდან მამეცარი“ – ირკვევა, რომ ამირანის ძალ-ღონის მიმნიჭებელი გორა ყოველი.

ქართველ ტომებში დედამისის კულტის გავრცელება სამეცნიერო ლიტერატურაში დადგურ

ამირანზე თქმულების ერთი ჯავახური ვარიანტის შესახებ

ნილია: ხევესურეთში უკანასკნელ ხანებამდე იყო შემორჩენილი „გორის ანგელოზისა“ და „ადგილის დედის“ რწმენა. ფშაველების წარმოდგენითაც „თვითი ადგილი: მთას, გორას, ხევის... ჰყავს დედა, რომელსაც „ადგილის დედას“ ეძახის ხალხი.²

თვით ჯავახთა ეთნოგრაფიულ ყოფაში ამჟამადაც დასტურდება დედამისის კულტის გარდამონაშთები, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ



დედამისა ნაყოფიერებისა, აღორძინება-გაცოცხლებისა და სამართლიანობის დაცვის ღვთაებად ყოლია ხალხს წარმოდგენილი.

მეტად საყურადღებოა ისიც, რომ ჯავახეთსა და სამცხეში (აგრეთვე საქართველოს სხვა მხარეებშიც), როგორც ჩანს, წარმართობის ხანის სასწაულ-სალოცავები გორებზე ყოფილა დადგმული.

ჯავახურ-ბერიძისეული ვარიანტის მიხედვით სწორედ ეს, დედამისის თუ გორის დედასულია ის ღვთაებრივი ძალა, რომელიც უძლეველს ხდის ამირანს.

დედამისისაგან ძალ-ღონის მინიჭების მოტივი სხვა ძველ კულტურის მქონე ხალხების შეხედულებაშიც იჩენს თავს: კარვად ცნობილ ბერძნულ მითურ გმირს ანთოსს დედამისის შეხება მატებდა ძალა. ბერძნების საყვარელმა გმირმა ჰერკულესმა მხოლოდ მას შემდეგ მოახერხა მისი დამარცხება, როდესაც მინას მოსწყვიტა იგი. სომეხი ისტორიკოსის ფავსტოს ბიზანტიელის ისტორიაც, რომელიც შემცველია სომეხთა ლეგენდების, მითებისა და გადმოცემების, საყურადღებო ცნობას გვაწვდის ამ მხრივ. მისი ერთი ცნობით: სპარსე-

თის მეფე საპო მოსალაპარაკებლად იწვევს თავის სამეფო კარზე სომეხთა მეფე არშაკს. იგი „კარავის ერთ ნაწილს სომეხთაგან მოტანილ მინით ავსებს. როდესაც არშაკი სომეხთაგან მიტანილ მინაზე დგება, გულდაჯერებით და გაბედულად ლაპარაკობს, ხოლო როდესაც გადავა კარავის იმ ნაწილში, სადაც სპარსელთა მინაა, მაშინ მას გული უტყდება და უძღურდება“.³

2. ქამდე გამოქვეყნებული ვარიანტების მიხედვით, ამირანის მიმჯახველად ქრისტე ღმერთი გამოყვანილი, ჯავახურ-ბერიძისეული ვარიანტის მიხედვით კი, იმავე გორის (რომელსაც ძალა მიანიჭა), ბრძანებით მჭედლების მიერ ხდება ამირანის მიჯაჭვა. გამოქვეყნებული ვარიანტების უმეტესობა ამირანს მჭედლების მტრად აცხადებს. ჩვენი დიდი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „პირ-

ვანდელ თქმულებას არსებითი ცნობები უნდა აკლდეს იმიტომ, რომ არ ჩანს, თუ რად ეშინიათ ამირანისა მჭედლებს, რომ ასე გულმოდგინედ ეხლაც გრდმელს უროსა ჰკარავენ ხოლმე, ვითომც და ამირანის ჯაჭვი გამსხვილდესო, ან რად არის საიდუმლოებით მოცული მოქმედებისათვის სწორედ დიდი ხუთმაბათი დაწესებული.“

ახალი ვარიანტი გვიხსნის ამირანის მჭედლებისადმი მიზებს – სახელოვანი გმირი სწორედ მჭედლებს მიუჯაჭვავთ.

ცნობილია, რომ ბერძნულში პრომეთეოსს მთავარი ღმერთის – ზევსის დაგვებით მჭედლების ღვთაება ჰეფესტოსი კავკასიის ქედზე მიუჯაჭვავს.

ჯავახურ-ბერიძისეული ამირანის ვარიანტი კიდევ ერთ შემხვედრ პუნქტს (მჭედლებისაგან მიჯაჭვის მოტივი) იძლევა პრომეთეს მითთან და აძლიერებს ბერძნული მითის ქართულ სამყაროსთან დამოკიდებულებას აზრს.

3. საყურადღებოა, რომ წინამდებარე ვარიანტის მიხედვით, ამირანი ამბრის ფეხს რომ ვერ ას-

წევს, ამბრის დედა ეუბნება: ქვები შეიწყე ფეხებში, მაშინ იქნება ასნიო.

ამირანიც ასე იქცევა, მაგრამ ამბრის ფეხის აწევას მაინც ვერ მესძლებს.

უეჭველია, აქ გვაქვს მითითება ქვის კულტზე,⁴ მაგრამ არა ისეთ დიდ და ძლიერ ლეგენდებზე ძალზე, როგორცაა დედამისა გამოსახსნის. მეტად საყურადღებოა, რომ თქმულების მიხედვით, ამირანს „სამი ადელეგებული წყლისა და სამი ადელეგებული ქარის“ ღონე ეძლევა და თვითონაც მათი ხასიათისა ხდება, რაც, აგრეთვე, წყლისა და ქარის (ჰაერის) კულტთან კავშირზე მიგვითითებს და ამირანს ლეგენდებში თვისებებით აღჭურვილ გმირად წარმოგვიდგენს.

4. საგულისხმოა ისიც, რომ ამირანზე თქმულების ამ ვარიანტში დედა (ქალი) წარმოდგენილია, როგორც გონიერი, წინასწარმეტყველი არსება, რომელთა რწმენა-ღარიბებითაც სარგებლობენ თქმულების მოქმედი პირები. ამირანის დედამ ამირანის დაბადებისთანავე ამირანს რომ „ბარკალზე დაჰყვა ხმალი“, იწინასწარმეტყველა: „ეს გმირი გაიზრდებაო, საქართველოს დაიცავასო“. მანვე რომ იგრძნო ამირანის მხრივ გადაჭარბება, ურჩია შვილს: „ეგ მტის-მეტი მოგდის, უეკლიო.“ ამბრის გვამი დედას მიაქვს დასაკრძალავად. ამირანს სთხოვს, ფეხი ურეზებ შეუტოვოს, შემდეგ კი რჩევას აძლევს: ამირანმა ფეხებში ქვები შეიწყოს, იქნებ იმდენი ძალა მიეცეს, რომ ამბრის ფეხის აწევა შესძლოს. გველემპიკ ამირანს რომ გადაყლაპავს და მუცელი გვრემას დაუწყებს, დედას მიაპურებს. დედისავე რჩევით განათავისუფლდება იგი გადაყლაპული ამირანისაგან.

ყოველივე ეს მითითებას წარმოადგენს დედის (ქალის) უპირატეს როლზე, რაც, თავის მხრივ, ამირანის ეპოსის ძირითად მატრიარქატის ხანაში ჩამოყალიბებაზე მითითებას იძლევა.

რაც შეეხება ქალისადმი ამირანის მტრობის მოტივს, ეს შედარებით გვიანდელი, პატრიარქატის ხანის მოვლენა უნდა იყოს. მართლაც თქმულებაზე გვაუწყებს: ამირანი ქალებს მას მერე გადაემტერა, როდესაც მისი (ამირანის) მიჯაჭვის შემდეგ ხალხმა სისხლიანი პურის ჭამა დაიწყო და მონადირეს ქალმა (ცოლმა) ხელი შეუშალა ამირანის გათავისუფლების საქმეში.

ამასთან, ამ ვარიანტის აღმოჩენა იმასაც გვიჩვენებს, რომ ამირანის ეპოსის ჩანაწერს ვერაფერ არ არის მოთავსებული და შეიძლება საქართველოს სხვა კუთხეებშიც ბევრი საყურადღებო ვარიანტი აღმოჩნდეს, ამიტომ საჭიროა კიდევ ერთხელ გულდასმით მოიხრიკოს ჩვენი ქვეყნის ძირე-კუთხე.

³ ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია“ თბ. სახ. უნივერს.-ის გამოცემა. 1941 წ. გვ. 76

⁴ ქვის (კლდის) კულტის შესახებ, იხ. ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ლიტ. გვ. 89

სოლომონ მეორე

ბული უფლებებით იყო აღჭურვილი ქუთაისის მოურავი, რომელსაც სარდლის წოდებაც ჰქონდა. ქუთაისის მოურავის წოდება, სარდლის წოდებასთან შეერთებული, საკმაოდ ფართო იყო. მის გარეშე მდივანბეგსაც არ შეეძლო საქმე გაერჩია. ქუთაისის მოურავის განკარგულებაში იყვნენ: ქალაქის მამასახლისი და საბაჟოს მოხელე. მის სარგოს შეადგენდა იმ თევზისა და მარილის ნახევარი, რაც მეფეს მიერთმეოდა. სამი ქესა ანუ 600 მანეთი ვერცხლით საბაჟოს შემოსავლიდან. ქალაქში დაკლულ ყოველ პირუტყვზე 16 სტილი (დაახლ. შვიდი გირვანქა) ხორცი, ყოველი საქმის განჩევისათვის - 5 მარჩილი. გარდა ამისა, ქუთაისის მოსახლეობას მისთვის სხვადასხვა სახის ძველი მიჰქონდა.

„სახლთუხუცესის დასახედნ მოხელეთა“ რიგში შედიოდნენ, აგრეთვე: მოლარეთუხუცესი - როგორც სახელწოდებით ჩანს, იგი იყო მოლარეთა უფროსი, რომელიც სახელმწიფო შემოსავალ-გასავლს განაგებდა. მის სარგოს შეადგენდა მეფის მიერ საჩუქრად გაცემული ნივთის ღირებულების მეათედი. სოლომონ მეორის მეფობის დროს ეს მალაღირსი თანამდებობა გიორგი წერეთელს ეჭირა.

მეღვინეთუხუცესი - განაგებდა ღვინის და არყის შემოსავალ-გასავალს, მასთან დაკავშირებულ ანგარიშს. მის სარგოს შეადგენდა შემოსული ღვინის მეათედი. სოლომონ მეორის დროს, იმერეთის სამეფოში ორი მეღვინეთუხუცესი: თავადი სიმონ წერეთელი და აზნაური იოსელიანი.

მესტუმრეთუხუცესის ფუნქციას შეადგენდა მეფის მაგიდის მომსახურება და სამეფო სოფლებში „სასტუმრო სამსახურის“ შესრულებაზე მეთვალყურეობა. მესტუმრეთუხუცესის პირადი შემოსავალი სხვადასხვაგვარი იყო: მეფის სოფლებში შეგროვებული პირუტყვიდან მას ეძლეოდა ტყავი და ყოველი ძროხიდან ერთი ბათმანი ხორცი, მეფესთან მიტანილი ძველის ნაწილი. მასვე უხვად ასაჩუქრებდნენ მეფის სტუმრები. მესტუმრეთუხუცესის ხელქვეითი მოხელე იყო - მესტუმრე. სოლომონ მეორის დროს, ამ სახელოს ფლობდნენ: მდივნები, იოსელიანები და საყვარელიძეები.

ხაბაზთუხუცესი - მისი მოვალეობა იყო სამეფო სოფლებში მარცვლეულის (ხორბალი, ღვინო) შეგროვება და მოვლა, რისთვისაც შეგროვებული ხორბლისა და ღვინის მეათედი ეძლეოდა. სოლომონ მეორის დროს, ეს სახელო ნიუაქმეებს ჰქონდათ ნაბოძები.

მეღვინეთუხუცესი - საღვინოს უფროსი იყო. მას ევალებოდა სამეფო სახლის ცხენებით უზრუნველყოფა და მათი მოვლა-პატრონობა. ამ საქმეში მას ეხმარებოდნენ მეღვინეები. მეღვინეთუხუცესის გარეშე არ გაიცემოდა მეფის მიერ საჩუქრად ბოძებული არცერთი ცხენი. მას ეკუთვნოდა ცხენის ღირებულების მეათედი. გარდა ამისა, მეფის ჯოგადან ყოველწლიურად თითო კვიცი. მასვე ეძლეოდა მეფის გამოცვლილი სანადირო და საომარი ტანსაცმელი. სოლომონ მეორის დროს, მეღვინეთუხუცესის თანამდებობა აბაშიძეებს ეკავათ.

ბაზიერეთუხუცესი. მისი ხელქვეითი მოხელენი იყვნენ ბაზიერი, რომელთაც მეფის ქორ-მიმინოები ეტარათ. ბაზიერეთუხუცესის ოფიციალურ სარგოს შეადგენდა ნანადირეის მეათედი. გარდა ამისა, მას „სხვა სარგებლობაც ჰქონდა.“ სოლომონ II - ის დროს ეს „სახელო“ აზნაურ კიოქს ეჭირა.

მეძალეთუხუცესი - მას მეფის ძალები ებარა. სარგოდ ეძლეოდა ძალების გამოსაკვებად შეკრებილი საკლავის მეათედი. ეს თანამდებობა აზნაურ ტყავიძეებს ეკავათ.

მეაბჯრეთუხუცესი - ევალებოდა მეფის აბჯრის მოვლა-პატრონობა. სარგოდ ეძლეოდა მეფის მიერ საჩუქრად გაცემული იარაღის საფასის მეათედი. სოლომონ მეორის დროს, ამ სახელოს ფლობდა ნიკოლოზ წერეთელი.

ქილიფთართუხუცესი - სალაროს მოხელე უნდა იყოს. XVIII საუკუნის ბოლოს ეს თანამდებობა ნულოვანძეებსა და ნიფარაძეებს ეკავათ.

ფარმეთუხუცესი - იგი სასახლის, მსახურთა საქმიანობას განაგებდა. სოლომონ მეორის დროს, იმერეთის სამეფოში ფარმეთუხუცესია როსტომ ნიფარაძე.

საპოლიციო-ადმინისტრაციული მოხელეებიდან ერთ-ერთი პირველი ადგილი ბოქაულთუხუცესს ეჭირა. მე-18-მე-19 საუკუნეთა მიჯნაზე, ამ თანამდებობაზე წერეთლები იყვნენ. მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, ხევისთავის „სახელო“. მის მოვალეობას დამნაშავეთა დევნა-აღმოჩენა შეადგენდა.



სოლომონ II-ის ეკვდერი ტრაპიზონში

წერეთელი, მდივანბეგები - ბეჟან ნულუკიძე, ვახუშტი ჩიჯავაძე, სახლთუხუცესის ძე - სვიმონ წერეთელი, დავით აბაშიძე, დავით ნულუკიძე, დავით ერისთავი, ზურაბ მანაბელი, გიორგი წერეთელი, ოტია ნულუკიძე, სენია ნულუკიძე, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ იაშვილი, ვახტანგ მიქელაძე, ქაიხოსრო აბაშიძე.

საერთოდ კი, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების განსახილველად არსებობდა ე.წ. დივანი, რომელიც ორი-სამი მდივანბეგისაგან შედგებოდა. სოლომონ მეორის დროს, მდივანბეგები იყვნენ: თავადი ნულუკიძე, რომელმაც რუსი ისტორიკოსის პეტრე გნოლოსაროვის ცნობით, ნერა-კითხვა არ იცოდა და ვახუშტი ჩიჯავაძე - განათლებული, კანონმდებლობის კარგი დაცოდნე პიროვნება. მდივანბეგთაგან ერთ-ერთის მდივანბეგთუხუცესად ნიშნავდნენ.

მდივანბეგები ხან თავის სოფლებში, ხან კიდევ ქუთაისში ცხოვრობდნენ. სასამართლოს სხდომები ტარდებოდა ან მათ ბინებში, ანდა ღია ცისქვეშ ხეების ჩრდილში.

ყოველი დოკუმენტი - სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ მეფის მიერ გაცემული სიგელი, დადასტურებული უნდა ყოფილიყო ბეჭდის დასმით. ამ საპასუხისმგებლო მოვალეობას ასრულებდა მორადი. მის ფუნქციას ბეჭდის დასმა და შენახვა შეადგენდა.

მეფეს ჰყავდა პირადი დაცვა, რომელსაც ქემიკთუხუცესი ხელმძღვანელობდა. მის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე, „პყრობილთა“ მცველობა. სამხმართლო თვალსაზრისით, იმერეთის სამეფო სამ სადარბაზო იყო გამოყოფილი. არგვეთი ანუ ზემო მხარე, ვაკე ანუ ქვემო იმერეთი და ოკრიბა-ლემჩხუმი. სადარბაზოს სათავეში სარდალი იდგა.

არგვეთის ანუ ზემო მხარის სარდალი წერეთელი იყო, ვაკის ანუ ქვემო იმერეთის - ნულუკიძე, ოკრიბა-ლემჩხუმის კი აგიაშვილი. ყოველ სადარბაზოს თავისი დროა ჰქონდა. მტრის თავდასხმის დროს, სარდლები მეფესთან ცხადდებოდნენ თავიანთი ლაშქრით, რომელსაც წინ დროულად უძღოდა. ყოველ მოლაშქრეს თან მიჰქონდა სამი ღის საგზა-ი, ხოლო მეტადე ლაშქარს კვებავდა ის სოფელი, რომლის ტერიტორიაზეც იყო დაბანაკებული.

(გაგრძელება იქნება)

„აღუქსან დრი ჯაბაჯაძე-90!“

„ყაყაჩო“ – მისი სულის ნაწილი

ვერ წარმოვიდგინებ მისი სულიერი პოეტიკის სიღრმის, სიყვარულის სახეს. მუდამ ფუსფუსა, მოუხვეწარი, ათას საქმეს შექმნილი და გამარჯვებული მესხეთის შემდეგ ქართლის მიწას შესტრფოდა. ოდა უძღვდა გორს, გორელებს, გორისციხეს, გორიჯვარს, ტირიფონას ველ-მინდვრებს და... დასახლდა კიდეც ამ ველზე, ერთ პატარა მშვენიერ სოფელში – ზედდუღეთში. შრომობდა, რგავდა ხეხილს, ყვავილებს. დედის ბაღად აქცია იქაურობა. მწახვევლები შორიდანაც მოდიოდნენ. მერე ლექს-შიც გავეხილეთ:

„გული ასე მითმო ეტანება
მიწის ოხშივარს და სურნელს,
თურმე, მიწას მოაქვს ნეტარება,
ნაღდი ნეტარება თურმე.“

მინაზე დასახლებას მოჰყვა ლექსების ნიაღვარიც. ამჟამად თავისი ბაღით და პატარა ქოხით. ეფერებოდა კომპებს, ატმებს, ალუმბლებს და იღვენ-თბობდა ქალაქზე ულამაზესი სტრიქონებით:

„მწკრივად დგანან ვაშლები, ჭერები და ატმები,
ჰგანან ცალმით დაბატულს, მარტო ცქერით დატკბები,
კუთხეში დგას ჭანჭური კობხად გამოპრანჭული,
გასათხოვარ გოგონს ჰგავს უყვარს თვალი პაჭური.“

ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ბატონი ალექსანდრე ტაბატაძე ზედდუღეთის საშუალო სკოლაში მუშაობდა, მოსწავლეებს პოეტიკას ასწავლიდა, აწვევებდა ქართული სიტყვის სილამაზეს, აყვარებდა ლექსს, პოეზიას, გახსნა უკავად ნიჭიერ მოსწავლეებს. „ყაყაჩო“ აქვეყნებდა მათ ლექსებს. ასე „დაიბადა“ ნიჭიერი პოეტი გოგონა დინა ნასყიდაშვილი.

ბატონი ალექსანდრე ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ზედდუღეთის სკოლა რაიონში სანიმუშო ყოფილიყო, დაარსა და კეთილმოაწყო ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი, დღეს ეს კაბინეტი მის სახელს ატარებს. მისი დაუღალავი შრომის შედეგად მოსაყვარებელი სკოლის ეზო.

ბატონი ალექსანდრეს ინიციატივით სკოლამ მეგობრობა დაამყარა გამომცემლობა „ნაკადულის“ რედაქციასთან. სკოლაში მოეწივებოდა პოეტები: მო-

რის ფოცხიშვილი, ანზორ აბულაშვილი და რედაქციის წევრები. სტუმრებმა სკოლას საწურეობიც გადასცეს. ეს მეგობრობა წლების მანძილზე გრძელდებოდა.

ამიტომაცაა, რომ ჩვენი სკოლა არ იფიცვს ამავდარი ადამიანის სახელს, მის საქმეებს. ხშირად იმართება მისი სლოგანად მიღწეული საღამოები. ერთ-ერთი საღამოზე მისი შვილი გელა გვესწრებოდა, ბოლოს ნოსტალგიაც მოერია. გრძობდა კიდეც სიკვდილის მოახლოებას და აკი გამოგვეთხოვა კიდევ:

„უკანასკნელად ვუხმო კალამს და მელანს
და დავწერ, ვიდრე მიმბარებენ მიწას,
პატიებას გთხოვთ, პატიებას გთხოვთ, ყველას,
ჩემი სიკვდილით გული დაგწყვიტეთ ვისაც.“

ნარბიზა აბულაძე,
გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედდუღეთის საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე

კვითხლოზ მენს ნიგნს

აღ. ტაბატაძის სხოვანს

გზას გილოცავდა, გივარავდა გორიჯვრის მაღლი,
მესხი მგოსანი როს ცხოვრობდი ბოლო ხანს ქართლში,
მაგრამ ბავშვობის, ყრმობის წლების სხოვანათა ხათრით
გოკიოს ქედებს უგალობდი – ზურმუხტად გაშლილს.

კვითხლოზ მენს ნიგნს (მოგონებებს რომ ვერ შევეცი),
ვერ მოვიფიქრე უკეთესი რა უნდა მეთქვა:
თუმცა შენ იქ ხარ – მარადიულ სასუფეველში,
მაგრამ ლექსებით შენი გული კვლავ ჩვენთან ფეთქავს.

სპონანდილ ნიგნიძე

ალექსანდრე ტაბატაძე

მინდა, რომ გული ჯერ არ გამეყოს,
მოვასწრო შენიც დასალოცავი,
სპირტივით არავს სვამენ გრილოში,
მართლა ფირუზის თქმისა არ იყოს –
საკვირველია და საოცარი.
რომ მომაგონდი სამეგრელოში.

როდესაც ტანი შორდება სხვა ტანს
და არის შიში სხვა გზაზე დანვის,
სადაც ვერაფერ ვეღარ შედგებოდა,
ერთი მეორეს თავისას ატანს
იდუმალების რალაცა ნაწილს
ყუმბარასავით მარად ფეთქებადს.

დროა წარსულის დაჯამებისა,
თითქმის დიდ გზაზე ნამგზავრები ვართ.
მოსაგონებლად იმ დღეებს ვუხმობ,
როცა ერთ-ერთზე გაჯავრებისას,
ხშირად სალაში დაჯავრებია
და ჩაგვივლია სხვა მხარეს უხმოდ.

შენზე იტყვიან: დათვრა გედივით
ამა და ამ წლის ამა და ამ დღეს,
არავინ ჰყვანდა კაცი შემცოდნე.
სასე ხარ დრამით და ტრაგედიით
და მინდა ახლა შენს გვერდით დავდგე,
რომ მიემატოს ჩემიც შენს ცოდვეს.

ციდან ჩამოცრის ღმერთის ზვიფები,
ფოლადის მახვილს მუზა გვიღესავს
და ისევ არავს ვსვამ მე გრილოში,
სხვისი თვალების ერთი შეხედვით
საკვირველია უსაკვირველსად,
რომ მომაგონდი სამეგრელოში.

ჯეპალ ინჯია

გუნდს უნდა ჰქონდეს პასიონატი

ალექსანდრე ტაბატაძე გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოწოდების პირველი კურსიდან ჩაება არა მარტო ინსტიტუტის, არამედ მთელი ქალაქის საქმიანობაში. იგი გორში გამოცემული ერთადერთი გაზეთის „გორის“ ვერ აქტიური კორესპონდენტი იყო, შემდეგ – თანამშრომელი. გაზეთის ამშვენებდა მის მიერ გადაღებული სხვადასხვა სურათების გარდა, საკმაოდ დიდ მოცულობის წერილები ქალაქის ცხოვრებიდან. ჩემი ინსტიტუტში მოწოდების წელს დაასრულა სასწავლებელი, მაგრამ ამ დროს იგი ხშირად ესწრებოდა იქ ჩატარებულ ღონისძიებებს, შეხვედრებს რესპუბლიკაში დიდად ცნობილ ადამიანებთან: მხატვრებთან, პოეტებთან, მსახიობებთან, მეცნიერებთან. კარგად მასსოვს, როდესაც გორში მოეწყო ლალო გულიშვილის ნამუშევრების გამოფენა, ხოლო მისი დახურვისას დიდი საზეიმო სხდომა, იგი ამ ყველაფერში აქტიურობდა.

ბედნიერება იყო ჩვენი თაობისათვის, რომ ამ ინსტიტუტში მუშაობდა დიდი ქართველი მწერალი ოთარ ჩხეიძე, რომელმაც აქვე შექმნა მეორე სასწავლებელი, სადაც გაერთიანდნენ მწერლობის მოყვარული ახალგაზრდები: თვითონ ალექსანდრე, ჯემალ ინჯია, ზაურ ნაქაძე, ფირუზ ჯანაშვილი, მინდია არაბული, ლერი ბეგიაშვილი, ჟურჟუნა ვაშაგაშვილი, მანანა ჩიტიშვილი, დალი მაზნიშვილი და სხვა მრავალი, მათ შორის მეც. კომკავშირის მდივანი ვიყავი და მუდმივი კავშირი მქონდა ახალგაზრდა მწერლებთან. ეს შემოქმედებითი ჯგუფი იმდენად ანგარიშგასაწვეი გახდა, რომ გადაწყდა ჟურნალ

„ლიახვის“ დაბეჭდვა, რაც იმ დროისთვის საკმაოდ დიდი საქმე იყო. მასსოვს „ლიახვი“ დაბეჭდილი ყველა შემოქმედების სურათი, რასაც ალექსანდრე დიდი ენთუზიაზმით იღებდა.

ამ ჯგუფმა ოთარ ჩხეიძის დაბადების დღეც ვიზეიმეთ, ამ ზეიმს თბილისიდან მოწვეული სახელწოდების მსახიობები და მეცნიერები ესწრებოდნენ, რომელიც დიდი ბანკეტით დამთავრდა.

საზეიმო შეხვედრა მოეწყო მწერალ ლევან გოთუასთან, სადაც განვიხილეთ მისი „გმირთა ვარაზი“. ასევე მოვიწვიეთ გიორგი შატერაშვილი, განვიხილეთ „მკვდრის მზე“. ამ ყველაფრის აქტიური მონაწილე ალექსანდრე იყო და მისი გამოსვლები ამშვენებდა ღონისძიებებს.

ალექსანდრეს ინიციატივით გამოვიდა ჩემი წიგნი. იგი ღირსეული რედაქტორი კი არა, ფაქტურად, თანაავტორი იყო. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, როდესაც მე გორის რაიონის ერთ-ერთი დიდი საკრებულოს თავმჯდომარე გავხდი, ამ სოფლის სკოლაში დაიწყო მან მუშაობა. იქ შექმნა ლიტერატურის კაბინეტი, რომელიც დღემდე მის სახელს ატარებს. ალექსანდრემ ქართული ლიტერატურის კაბინეტში კვლავ უკავია გამოამზეურა ერის პატრიოტი მწერლები. ალექსანდრე დიდ ენერჯიას ხარჯავდა იაკობ გოგებაშვილის სახელს უკვედვ-საყოფად.

ალექსანდრე მრავალი წელი მუშაობდა გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ სპეციალურ კორესპონდენტად, იქ მუშაობისას გამოაქვეყნა ჩემი წერილი

სახალხო დიპლომატიის საკითხებზე, რომელიც ეხებოდა ენ სოხეთს და აფხაზეთის ხალხებთან ერთგულების ურთიერთობას.

იგი კარგა ხანს მუშაობდა გორის ბაზმეულის ქსოვილების კომბინატში პასუხსაგებ თანამდებობაზე. ეს სანამომ 10000 თანამშრომელს მაინც ითვლიდა და რესპუბლიკური მასშტაბით მსუბუქი მრეწველობის ნამყვანი სანამომ იყო.

ალექსანდრეს გამორჩეულად ყველაზე თავისი სოფელი და სამცხე-ჯავახეთი. ეს ნათლად ჩანს მის ლექსებში.

მე პირადად ალექსანდრეს ყველა წიგნი მაქვს, მათ შორის ბოგდან ჩელის მიერ უკრაინულ ენაზე ნათარგმნი წიგნი, რომელსაც მისი ხელმოწერა ამშვენებს. ალექსანდრე, როგორც ბრწყინვალე პოეტი, ასევე დიდებული მხატვარიც იყო, რომლის ნახატებიც ამშვენებს მის წიგნებს. მას იცნობდნენ როგორც კარგ ფოტო-ხელოვნებს, საოცრად გასაგები ენით დაწერილი სტატიების ავტორს.

ალექსანდრე ტაბატაძის უდროოდ წასვლა დიდი დანაკლისი იყო ქალაქ გორის საზოგადოებისათვის. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, შეწყდა მის მიერ დაარსებული საყვანელო გაზეთი „ყაყაჩო“ გამოცემა. ალექსანდრე ტაბატაძე ნამდვილად იყო თავისი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტი. უნიჭიერესი, ნათელი გონების პოეტი და ქვეყნის ჭეშმარიტი შვილი.

აპაკი პინინაშვილი

დიდი მეგობარი

ბატონი ალექსანდრე 90-იანი წლებში გაეიცანა. იმ წლებში, როდესაც საქართველოში საბინელი განუკითხავობა, უშუქობა, შიდა დაპირისპირებები მძვირდებოდა. სკოლებში მოსწავლეებს სახელმძღვანელოები უჭირდა, საკითხავი ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთებზე წვედობა ოცნება იყო.

სწორედ იმ დროს, გორის სინამდვილეში, გამოჩნდა საბავშვო გაზეთი „ყაყაჩო“. გაზეთმა გამოაცოცხლა სასკოლო ცხოვრება. ბავშვებს უხაროდათ საკუთარი გვირ-სახელი დაბეჭდილი ლექსები და მოთხრობები. შემდეგი იყო „ყაყაჩო“ ოუბლიები, რომლებიც გორის თეატრში ტარდებოდა. ბატონი ალექსანდრე ხელმძღვანელობდა ამ ღონისძიებებს და აჯილდებებდა ნარჩინებულ „ყაყაჩოებს“. ინვესტა მხატვრული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს, ცნობილი მომღერლებს და დეკლამატორებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ყაყაჩო“ იყო ერთადერთი ნათელი წერტილი იმ დროინდელი ბავშვების ცხოვრებაში.

ბატონი ალექსანდრე არასოდეს მისცემია თვითკმაყოფილების გრძნობას. ცნობილია, რომ იგი, თავის შემოქმედებაში ხშირად უსვამდა საკუთარ თავს ისეთ შეკითხვებს, როგორცაა: „ვთქვი თუ არა რაიმე ღირებული მკითხველისთვის? ამაოდ ხომ არ გაიხარავა უამრავი ქალაქი და მელანი? ... არ ვიცი, ვერ გეტყვი, ის კი ნამდვილად ვიცი, რომ არასოდეს ვყოფილვარ თვითკმაყოფილების ტკბილი შარბათით გაბრუნებული, არც ის დამეინებია არასოდეს, რომ კაცი ერთხელ მაინც უნდა მოკვდეს ვილაციისთვის...“

ეს სიტყვები ნაუშმდევარ ბატონმა ალექსანდრემ თავის შესანიშნავ წიგნს „ერთხელ მაინც“.

მრავალმხრივია ბატონი ალექსანდრეს შემოქმედება. თუმცა მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი პატრიოტიზმს უჭირავს. ძალიან მოამბეჭდავია მისი ლექსები „გოკიო“, „ოდა ოდას“, „გამაგრდი საქართველომ“, „საქართველო არასოდეს მოკვდება“, „დედს“, „უფლისციხესთან“... ასევე ბატონ ალექსანდრეს შემოქმედებაში გვევლინება ვერ აუვლით სიყვარულის თემას, ქართული ენის სადიდებელ შესანიშნავ ლექსს „დედა ენა“. განსაკუთრებით დაუინყარი იყო მის სამუშაო ოთახში სტუმრობდა ფინჯან ყაჯაზე, სადაც დიდი საიმპონებო მივდიოდით ახლო მეგობრები. ისიც დაუზარებლად გვიკითხავდა ახალ-ახალ ლექსებს, გვანდობდა „ყაყაჩოში“ დასაბეჭდ მასალას.

ამოუწურავია ბატონი ალექსანდრეს, როგორც საზოგადო მოღვაწის და პოეტის შემოქმედებაზე საუბარი. მისი შემოქმედება ბევრი მომღერლის შთაგონების წყარო გახდა. მის ლექსებზე შეიქმნა უამრავი სიმღერა და შესარულეს ისეთმა ცნობილმა მომღერლებმა, როგორებიცაა მერაბ სეფაშვილი, ზურაბ კობეშვილი, ლელე პაიაშვილი, ჯონდო გაგაძე, მიმიკო კოშკაძე... მე, როგორც ბატონი ალექსანდრეს მეგობარს, ძალიან მტკიავა გული მისი უდროოდ წასვლის გამო.

„ნაგალ და წასვლას სულ არ ვივადრებ
და ახლობლები მე არ მინყენენ“ -ო კი ბრძანეთ ბატონო ალექსანდრე,
მაგრამ გვეწყინა, ნამდვილად გვეწყინა უთქვენოდ თიბათვის მოსვლა. უთქვენოდ მოინყინა თქვენმა ბაღმა, ნუშმა, შინდმა, ჭანგამ, გორიჯვარმა...
დამთავრდა ბატონი ალექსანდრეს ამქვეყნიური –
„ხან სიხარული, ხან მწარე სევდა,
ხან ბალახამდე, ხან მალა მზემდე“ ... და შეუერთდა ზეციურ საქართველოში დიდ მამულოშვილებს.

ნანა ცხომრაშვილი,
ბერბუკის საჯარო სკოლის მასწავლებელი

საბალო დიპლომატიის საკითხებზე, რომელიც ეხებოდა ენ სოხეთს და აფხაზეთის ხალხებთან ერთგულების ურთიერთობას.

იგი კარგა ხანს მუშაობდა გორის ბაზმეულის ქსოვილების კომბინატში პასუხსაგებ თანამდებობაზე. ეს სანამომ 10000 თანამშრომელს მაინც ითვლიდა და რესპუბლიკური მასშტაბით მსუბუქი მრეწველობის ნამყვანი სანამომ იყო.

ალექსანდრეს გამორჩეულად ყველაზე თავისი სოფელი და სამცხე-ჯავახეთი. ეს ნათლად ჩანს მის ლექსებში.

მე პირადად ალექსანდრეს ყველა წიგნი მაქვს, მათ შორის ბოგდან ჩელის მიერ უკრაინულ ენაზე ნათარგმნი წიგნი, რომელსაც მისი ხელმოწერა ამშვენებს. ალექსანდრე, როგორც ბრწყინვალე პოეტი, ასევე დიდებული მხატვარიც იყო, რომლის ნახატებიც ამშვენებს მის წიგნებს. მას იცნობდნენ როგორც კარგ ფოტო-ხელოვნებს, საოცრად გასაგები ენით დაწერილი სტატიების ავტორს.

ალექსანდრე ტაბატაძის უდროოდ წასვლა დიდი დანაკლისი იყო ქალაქ გორის საზოგადოებისათვის. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, შეწყდა მის მიერ დაარსებული საყვანელო გაზეთი „ყაყაჩო“ გამოცემა. ალექსანდრე ტაბატაძე ნამდვილად იყო თავისი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტი. უნიჭიერესი, ნათელი გონების პოეტი და ქვეყნის ჭეშმარიტი შვილი.

აპაკი პინინაშვილი

შეხვედრა მწერალთა კავშირში

ცნობილი პოეტიცა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე (შურა) ტაბატაძის დაბადებიდან 90, ხოლო გარდაცვალებიდან 20 წელი შესრულდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ამდენი წელია ჩვენს გვერდით აღარ არის, მისი პოეზია იმდენად ახლოა, რომ მომავალი თაობისთვის განუყოფელ სულის საზრდოდ რჩება და ისეთ განცდას გვიტოვებს, რომ ამ ლექსების ავტორი ცოცხალია, სადაც აქვდა და ძველებურად შეიძლება შეგხვდეს, გაგიღიმოს, დაგაეჭიქოს ნარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

1996 წლის სუსხიანი დეკემბერია. პოეტმა ელენე დიდიმამიშვილმა მთხოვა საქართველოს მწერალთა კავშირში წიგნად გამოასაცემი მისი ლექსები ჩამეტანა.

მეორე დღესვე თბილისში წავიდა. მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ბატონ გურამ ფანჯიკიძის მისაღებად მივინახე ქალბატონის გარდა ერთი შუახნის ქალბატონი და ორი, ასევე ხანში შესული მამაკაცი იცდიდა. მივინახე მითხრა, რომ ისინი რიგში არიან, ბატონ გურამს სტუმარი ჰყავს და, ვიდრე არ გათავისუფლდებოდა, უნდა მომეცადა.

– ბოდიშს გიხდით-მეთქი, – მივმართე იქ მყოფთ. იქნებ დამიჭიკროთ ბატონ გურამთან შესვლა, ახალციხიდან ვარ და უკან დაბრუნება მინდა მოვასწროო.

– კი ბატონო, – თავაზიანად მითხრეს. ხოლო მივინახე ქალბატონმა თავმჯდომარეს მისახვედრის: მისაღებად ერთი ახალგაზრდა კაცია და დაჟინებით ითხოვს თქვენთან შესვედროსო.

ამ დროს თავმჯდომარის კაბინეტის კარი ღია იყო და საუბარი კარგად გვესმოდა.

უცებ აღტაცების ნამოძახილი, ნაცნობი ხმა შემომესმა – ახალციხელი! – ბატონო გურამ, ნუ მოვაცდევინებთ, ჩემი გულისათვის, გთხოვთ...
ხმა მეცნო, ბატონ გურამთან ჩვენი კუთხის შვილი, პოეტი შურა ტაბატაძე იყო.

შევედრე თუ არა გურამ ფანჯიკიძისთან, ცნობისმოყვარე, კარისკენ მომართულ ბატონ შურას მზერას გადავანყდი. მიცნო და ბავშვური აღტაცებით გახარებული ნამოხტა სკამიდან და ორივე ხელის ჩამორთმევით მომესალმა.

– აბა, მოგვივტევი გვერდით, შეციებული იქნები. ყავას მიირთმევ თუ ჩაის? – მითხრა ბატონმა გურამმა.

– გმადლობთ, არცერთს-მეთქი, თუმცა

სამი ფინჯანი ჩაი უკვე მაგიადაზე იდგა. შურა ძიამ საგარძლისკენ მიმითითა, თან დაამატა, – რომელმა ქარმა გადმოგაგაღო...
გამეცინა. ჩვენებური შეკითხვა იყო. საქალაქო, რომელსაც ეწერა – „ელენე დიდიმამიშვილი – ლექსები“, განხეხნი და ბატონ გურამს მაგიდაზე წინ დავუდგი. ბატონმა გურამმა თვალი გადაავლო თუ არა საქალაქოზე ნარსურას, კითხვას თავადვე უპასუხა: – სამცხის ქარს დაუქროლავს, გურამ, ძიამ, სამცხის ქარს, ახალციხიდან.

სანამ ბატონი გურამი საქალაქოდა ათვალთვრებდა, შურა ძიამ ბოლომდე გამოიკითხა სამცხე-ჯავახეთის ამბები დაწყებული სოფელ გოკიოდან – აგურამდე.

მივინახე უკვე მეორედ შემოიტანა სამი ფინჯანი ჩაი და ორცხობილას რამდენიმე ნაჭერი... – ოჰ, თქვენ გაიხარეთ, თორემ გავიყინეთ კინალამ, – თქვა ბატონმა გურამმა, და ერთი ფინჯანი ჩაი თავისივე მინა ისე, რომ საქალაქოდას თვის თვალი არ მოუცილებია.

ბატონმა შურამ კი შემამჩნია, რომ გაკვირვებული ვუცქერდი ფანჯარას, რომლის წინაც, ზურმუხტეცვით, ბატონი გურამი იჯდა. ორივეს თბილი, სქელი პალტო ეცვა და თბილი ქუდები ეხურათ. მიხედავ გაკვირვებას, ღიმილმარევი ფეშტი მიმინიშნა ბატონ გურამისკენ და, თითქოს ლექსს თითხულობსო, დაიწყო:

– „ჩაკეტულ სივრცეს ვერ იტანთ მწერლები...“
– და ვერც პოეტები, ბატონო შურა...“ – უპასუხა ბატონმა გურამმა და ქვემოდა, ნიშნისმოგებით, გამოხედა კაფის ნამომწყებს...
– გასაგებია, მაგრამ ეს კაცი რატომ გავყინოთ ჩვენს გამო, გურამ? – გაუღიმა შურამ.
– ვაბა, ეს პოეტები, – სიცხლით თქვა ბატონმა გურამმა, გამომცდელი მზერა მიაპყრო ბატონ შურას და განაგრძო:
„ახლა მდულარეს დავლევთ და ნავალი, გარეთ კი ისევ ქარია, ყინავს...“
და... ნაშთი შეყოვნდა:
„გურამ, მდულარეს ჩვენ ორი კი არა, მატარებელი მიჰყავს!“
დაასრულა სტორიო ბატონმა შურამ. მისაღებად რომ იცდიდნენ, სიცილით შემოვიკვიდნენ კაბინეტში: – ჩაინერეთ, ჩაინე-

ვალთ... იხსხენენ.
მამინ ბატონმა გურამმა ვითომ სერიოზული გამომეტყველება მიიღო, ხმამაღლა თქვა:
– ოხ, ეს პოეტები... სიტყვა ვიბეჭდი გივით და ისე ურტყამთ მიზანში, სალუქვაც კი შეშურდებოდა, ხელები ამინევი თქვენს წინაშე, ოღონდ არავისთან დაგცდეთო... – და ისევ სიცილი აუტყდა.
დავტოვე ქალბატონ ელენეს ლექსები და დაგვრუნდი ახალციხეში იმ იმედით, რომ მალე გამოსცემდნენ. ვინ იფიქრებდა, რომ რამდენიმე თვეში ვერ ქალბატონი ელენეს, შემდეგ კი ბატონი გურამის სულეტი მარადიულ სასუფეველში გადავიდოდნენ.
მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ცივი ოთახიდან გამოყოფილი სულიერი სიბოლო, რომელიც მამინ იქ ტრიალებდა, დღემდე მომყვება იმ სასიქადლო მამულიშვილების, ბატონების – შურას და გურამის, ქალბატონ ელენეს სამახსოვროდ.

ელდარ ზაზაძე

ნანა ცხომრაშვილი

ბატონი ალექსანდრე 90-იანი წლებში გაეიცანა. იმ წლებში, როდესაც საქართველოში საბინელი განუკითხავობა, უშუქობა, შიდა დაპირისპირებები მძვირდებოდა. სკოლებში მოსწავლეებს სახელმძღვანელოები უჭირდა, საკითხავი ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთებზე წვედობა ოცნება იყო.

სწორედ იმ დროს, გორის სინამდვილეში, გამოჩნდა საბავშვო გაზეთი „ყაყაჩო“. გაზეთმა გამოაცოცხლა სასკოლო ცხოვრება. ბავშვებს უხაროდათ საკუთარი გვირ-სახელი დაბეჭდილი ლექსები და მოთხრობები. შემდეგი იყო „ყაყაჩო“ ოუბლიები, რომლებიც გორის თეატრში ტარდებოდა. ბატონი ალექსანდრე ხელმძღვანელობდა ამ ღონისძიებებს და აჯილდებებდა ნარჩინებულ „ყაყაჩოებს“. ინვესტა მხატვრული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს, ცნობილი მომღერლებს და დეკლამატორებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ყაყაჩო“ იყო ერთადერთი ნათელი წერტილი იმ დროინდელი ბავშვების ცხოვრებაში.

ბატონი ალექსანდრე არასოდეს მისცემია თვითკმაყოფილების გრძნობას. ცნობილია, რომ იგი, თავის შემოქმედებაში ხშირად უსვამდა საკუთარ თავს ისეთ შეკითხვებს, როგორცაა: „ვთქვი თუ არა რაიმე ღირებული მკითხველისთვის? ამაოდ ხომ არ გაიხარავა უამრავი ქალაქი და მელანი? ... არ ვიცი, ვერ გეტყვი, ის კი ნამდვილად ვიცი, რომ არასოდეს ვყოფილვარ თვითკმაყოფილების ტკბილი შარბათით გაბრუნებული, არც ის დამეინებია არასოდეს, რომ კაცი ერთხელ მაინც უნდა მოკვდეს ვილაციისთვის...“

ეს სიტყვები ნაუშმდევარ ბატონმა ალექსანდრემ თავის შესანიშნავ წიგნს „ერთხელ მაინც“.

მრავალმხრივია ბატონი ალექსანდრეს შემოქმედება. თუმცა მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი პატრიოტიზმს უჭირავს. ძალიან მოამბეჭდავია მისი ლექსები „გოკიო“, „ოდა ოდას“, „გამაგრდი საქართველომ“, „საქართველო არასოდეს მოკვდება“, „დედს“, „უფლისციხესთან“... ასევე ბატონ ალექსანდრეს შემოქმედებაში გვევლინება ვერ აუვლით სიყვარულის თემას, ქართული ენის სადიდებელ შესანიშნავ ლექსს „დედა ენა“. განსაკუთრებით დაუინყარი იყო მის სამუშაო ოთახში სტუმრობდა ფინჯან ყაჯაზე, სადაც დიდი საიმპონებო მივდიოდით ახლო მეგობრები. ისიც დაუზარებლად გვიკითხავდა ახალ-ახალ ლექსებს, გვანდობდა „ყაყაჩოში“ დასაბეჭდ მასალას.

ამოუწურავია ბატონი ალექსანდრეს, როგორც საზოგადო მოღვაწის და პოეტის შემოქმედებაზე საუბარი. მისი შემოქმედება ბევრი მომღერლის შთაგონების წყარო გახდა. მის ლექსებზე შეიქმნა უამრავი სიმღერა და შესარულეს ისეთმა ცნობილმა მომღერლებმა, როგორებიცაა მერაბ სეფაშვილი, ზურაბ კობეშვილი, ლელე პაიაშვილი, ჯონდო გაგაძე, მიმიკო კოშკაძე... მე, როგორც ბატონი ალექსანდრეს მეგობარს, ძალიან მტკიავა გული მისი უდროოდ წასვლის გამო.

„ნაგალ და წასვლას სულ არ ვივადრებ
და ახლობლები მე არ მინყენენ“ -ო კი ბრძანეთ ბატონო ალექსანდრე,
მაგრამ გვეწყინა, ნამდვილად გვეწყინა უთქვენოდ თიბათვის მოსვლა. უთქვენოდ მოინყინა თქვენმა ბაღმა, ნუშმა, შინდმა, ჭანგამ, გორიჯვარმა...
დამთავრდა ბატონი ალექსანდრეს ამქვეყნიური –
„ხან სიხარული, ხან მწარე სევდა,
ხან ბალახამდე, ხან მალა მზემდე“ ... და შეუერთდა ზეციურ საქართველოში დიდ მამულოშვილებს.

ნანა ცხომრაშვილი,
ბერბუკის საჯარო სკოლის მასწავლებელი

ბახარული და ზარინა

ფადიშახ ბახრომას ჰყავდა ორმოცი ვაჟიშვილი – ორმოცივე მშვენიერი და ძლიერი რაინდი.

ერთხელ ბახრომა, შვარდნებით, გაემგზავრა თავისი შვილების თანხლებით სანადიროდ. თან წაიყვანა დიდძალი მხლებლები. შორეულ ველებზე ინადირა რამდენიმე დღე.

როდესაც ბახრომა დიდძალი ნანადირევით ბრუნდებოდა სახლში, შორს თვალი მოჰკრა, რომ თავის სახელმწიფოს საზღვართან, მაღალი მთიდან, მწკრივად ეშვებოდა ორმოცი ქალიშვილი, რომელთაც მხარზე ედგათ მოზრდილი დოქები. ისინი მივიდნენ მდინარესთან, აავსეს დოქები და ისევ გასწიეს მთის მწვერვალისკენ და მიეფარნენ. ამას გაკვირვებით უცქერდა ბახრომა და როდესაც ბოლოს მიმავალი ქალიშვილიც მთას მიეფარა, თავისთან იხმო ვეზირი და უთხრა:

– ახლავე გაგზავნე მოზრდილები, რათა შეიტყონ ვინ არიან ესენი, რისთვის ეზიდებიან მდინარიდან წყალს მთის იქით.

ქარით გაფრინდნენ მდეგრები მაღალი მთისკენ, აირბინეს მწვერვალზე და თვალს მიეფარნენ. ბახრომა სახლში დაბრუნდა, მდეგრები კი ცოტა ხანში მიეწივნენ ქალაქის შესასვლელთან და მოახსენეს ბახრომას: – იმ შორეული მთის იქით ცხოვრობს ფადიშახი დიერი, მას არ ჰყავს არცერთი ვაჟიშვილი, თუმცა ორმოცი ქალიშვილის მამაა. დიერის სამეფო უდაბნოა და ძალიან ლარიბი. უწყლოობით უმძებათ ყანები, ბაღები და საძოვრები.

გარდა ამისა მდეგრებმა შეიტყეს, რომ ფადიშახი დიერი თანახმაა ქალიშვილები მიათხოვოს იმას, ვისაც ორმოცი ვაჟიშვილი ჰყავს და, ვინც, ამავე დროს, შესძლებს გაჭრას მთა და წყალი მიიყვანოს იმ ქვეყანაში.

ბახრომას გაეხარდა, რომ თავისი შვილებისთვის საცოლოები იშოვნა. მეორე დღესვე გამოაწყო შუამავლები, გაატანა დიერთან ძვირფასი საჩუქრები და დაუბარა, გადასცენ დიერს, რომ ის მზადაა დანიშნოს მისი ორმოცივე ასული თავისი ორმოცი შვილისთვის და უზენაესი მდინარიდან გაიყვანოს წყალი იმათ ქვეყანაში.

ფადიშახ ბახრომას სამეფოში ყველგან დაიარებოდნენ მაცნეები და ხალხს ინვევდა სამუშაოდ.

დილაადრიან მათ მთასთან შეხვდათ დიერის ქვეყნის მცხოვრებლები.

ორმოც დღესა და ორმოც ღამეს თხრიდა ხალხი მთას წყლის გასაყვანად. როდესაც წყალმა დენა იწყო, დანიშნა საერთო სახალხო ზეიმი, რაც ორმოც დღე-ღამეს გაგრძელდა.

ამავე დროს გაიმართა ბახრომას ორმოცი ვაჟიშვილისა და დიერის ორმოცი ქალიშვილის ქორწილი. უფროსმა ვაჟებმა ცოლებად აიყვანეს უფროსი ქალიშვილები, ხოლო ბახრომას ყველაზე უმცროსმა, ულამაზესმა ბახარულმა შეირთო დიერას ყველაზე უმცროსი ასული ზარინა, რომელიც არა მარტო ლამაზი, არამედ მგვრმობიარე და ჭკვიანიც იყო. მას ძალიან უყვარდა ცხოველები და ფრინველები. იმის ბაღში ცხოვრობდნენ შველები, ფარშევანგები და სირაქლეები, რომლებსაც ზარინა თვითონვე აჭმევდა. ფრინველები მას მხიარული ჟღერით უღებდნენ, ფარშევანგები კი ფეხდაფეხ დაჰყვებოდნენ.

მას აგრეთვე უყვარდა ფეხმარდი ცხენები და უზარმაზარი აქლემები. როდესაც ქალიშვილი ეზოში გამოდიოდა, ისინიც მასთან დაჯირითობდნენ და პურსაც მხოლოდ მის მიწოდებულს ჭამდნენ.

ზარინას განსაკუთრებით არ უყვარდა თავგები, ამასთან ემიზნოდა მათი იმიტომ, რომ ბავშვობაში ზღაპრად ჰქონდა გაგონილი, თითქოს მათში დევების სული ინახებოდა.

როდესაც დიერის სამეფოში მთის იქითა წყალმა დაიწყო დენა, ზარინა გაჰყვა ახალი მდინარის სანაპიროს და ძალიან უხაროდა თუ როგორ გამწვანებულიყო მორწყული ყანები და მიწდვრები.


ზარინა აღფრთოვანებული გაჰყურებდა ირგვლივ ყველაფერს, მაგრამ მაინც ვერ გაამხიარულა ყოფილი უდაბნოს აყ-

ვავებულმა სივრცემ.

ამ დროს ზარინამ დაინახა, რომ იმისკენ მოემართება გრძელწვერა, ჭაღარათ-მიანი მოხუცი, რომელსაც კეთილი სახე უჩანს, ცალი ხელით ეყრდნობა ჯოხს, ხოლო მეორეთი უჭირავს თესლეულებითა და მარცვლეულით სავსე დიდი თევზი.

– ქალიშვილო, აილე ეს თევზი, – უთხრა მოხუცმა. ნადი მდინარის სანაპიროზე და მიწაში ჩაყარე ეს მარცვლები ისე, რომ უკან არ მოიხედო იქამდე, მანამ მარცვლებს მთლიანად არ ჩაყარი მიწაში.

ზარინამ გამოართვა მარცვლეულით სავსე თევზი მოხუცს, გაჰყვა მდინარის სანაპიროს და უკანმოუხედავად ჰყრიდა



მიწაში. ბოლოს თევზზე ერთი პეშვი მარცვალი რომ დარჩა, ამ დროს მოინდომა უკან მოხედვა და დაინტერესდა მის უკან ხდებოდა.

– „თითქმის მთელი მარცვლეული დავაბნიე,“ – ჩაილაპარაკა თავისთვის და უკანაც მოიხედა.

მდინარის სანაპიროზე, სადაც კი მოახლოდა მარცვალეული, მთელი ბალი უკვე გაშენებულიყო. მათ შორის იყო ვაშლი, ატამი, ალუბალი და სხვა. ამ მცენარეთა ნაყოფი უმალ შეფერადებულყო და დამნიფებულიყო. ზარინა მოზრდილი და ბაღში სირიხილი მოინდომა, უყურებდა უზენაყოფიან ბაღს და ბედნიერად იცინოდა. თან ყველა ხილის ნაყოფის მოსაწყვეტასაც ცდილობდა. თითოეული ერთ-მანეთზე ტკბილი და გემრიელი იყო. მაგრამ უცებ ერთი პატარა ზომის ნაყოფი შეხვდა, რომელიც ავსებული იყო წვრილი ოქროსფერი მარცვლე-ბით. ნაყოფი თავზე ტკბილი მოეჩვენა. შემდეგ სხვა მოზრდილი ნაყოფიც მოწყვიტა, ისიც ძვირფასი ქვებით, ნითელი მარცვლებით იყო ავსილი, რომლის გვენი სქელსა და ტკბილ დვი-ნოს ნააგვად. იგი თურმე ბრონეული აღმოჩნდა.

– აი, ეს ხილი ყველას სჯობია! – სთქვა ზარინამ და დაიწყო ამ ნაყოფის ხეების ძებნა, მაგრამ მთელ ბაღში მხოლოდ ორი აღმოჩნდა. დახედა თევზებს და გაიფიქრა: „სჩანს თევზზე დარჩენილა სწორედ ლედვისა და ბრონეულის მარცვლები“. სწრაფად აიღო და ისინიც მოახლოდა სანაპიროზე, მაგრამ ამ დროს ამოვარდა ქარი და მარცვლები მდინარეში შეიტანა.

ზარინამ იხანა, რომ ძალიან ადრე დაათვალიერა ბაღი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. აი ამიტომ დიერას ქვეყანაში ლეღვი და ბრონეული უფრო ცოტაა, ვიდრე სხვა ხეხილი.

დამთავრდა ქორწილი. ბახრომა თავისი ორმოცი შვილითა და ორმოცი რძლით დაბრუნდა თავის სამეფოში. აქლემების გრძელი ქარავანი და ცხენების რემა გაშლილიყო გახურებულ უდაბნოში ერთი ვერსის სიგრძეზე.

როდესაც ქარავანმა გაიარა გზის თითქმის ნახევარი, მგზავრების წინ აღიმართა ცადაწვილი სილის სვეტი.

ერთი ადგილი ისე დაბურული იყო, რომ გზას უღობავდა მიმავალთ და აქეთ-იქით ახეთქებდა.

ცხენები და აქლემები დამფრთხლები ფრუტუნდნენ და ერთად გროვდებოდნენ, შიშისაგან ეკვროდნენ ერთმანეთს, მაგრამ ვერავინ ბედავდა წინ გადაადგილებას.

მაშინ ბახრომას უმცროსმა შვილმა ბახადურმა, რომელმაც მეფის ასული ზარინა შეირთო ცოლად და ბალი გააშენა, წინ წამოიწია, თაყვანი სცა მამას და სთხოვა ნებართვა, რათა წასულიყო და შეემოწმებინა თუ რა ძალამ გადაუღობა გზა ქარავანს.

როდესაც ბახადური მიუახლოვდა

სადაც თავი – დევის სულია მოთავსებული. თუ ამ თავს მოვკლავთ, დევიც განუტევეს სულს.

მოისმინა თუ არა მეუღლის ნათქვამი, ბახადურმა წელი ნაბიჯით გასწია ქვის მაგიდისაკენ, სადაც ყუთი იდო, მის ზემოთ კედელზე კი უზარმაზარი ხმალი ეკიდა. ბახადურმა სტაცა ხელი ხმალს და მთელი ძალით სკივრს დაარტყა. სკივრი დაიმსხვრა თუ არა, დევმაც გაიღვიძა და საშინლად დაიღრიალა.

უცებ ნამსხვრევებში ბახადურმა შენიშნა მეორე სკივრი, მასაც მოუქნია ხმალი და ისიც ნამსხვრევებად აქცია. გამოქვამულში ყველაფერი შეზანზარდა. ამასობაში დევმა იხელთა და რაინდს მივარდა, მაგრამ ბახადურმა დაასწრო დევს, სტაცა ხელი თავს და იმ წამს სიცოცხლეს გამოასალმა. იმ წამს დევიც მიწაზე დაენარცხა და სულიც განუტევა.

ბახადურმა ხმლის დახმარებით გახსნა გამოქვამულის ჩაკეტილი კარები და იქვე აჰკუნა გასასვლელის კარებთან მოდარაჯე გველეშაპი.

ბახადური და ზარინა გამოვიდნენ მიწის ქვეშეთიდან. უკუნიღამე იყო. ისინი ძლივს მიიკვლევინ გზას. გამთენიისას წააწყდნენ ცხენების რემას. დაიჭირეს ორი საუკეთესო ცხენი და განაგრძეს გზა. მეორე დღეს წვალებით მიადნიეს თავიანთ ქარავანს. შორიდანვე ისმოდა მათი ტირილის ხმა, მაგრამ რომ დაინახეს ბახადური და ზარინა ცოცხალი და უვნებელი, მწუხარება მხიარულებად შეცვალა.

ფადიშახ ბახრომამ ბრძანა დღესასწაული გაემართა.

ამ დროს ბახრომას ქვეყნიდან მაცნე მოვიდა და განაცხადა:

– სანამ ბახრომა თავისი ორმოცი რაინდი ვაჟიშვილით დიერის სამეფოში იყვნენ სტუმრად, ჩვენს

ქალაქს თავს დაესხნენ უცხო ტომელები, დაიპყრეს დედაქალაქი, გაძარცვეს მოსახლეობა და თავშესაფარი მოაწყვეს ქალაქის ახლოს და ელიან ფადიშახის დაბრუნებას, რათა წაიყვანონ იგი.

ბახრომა საომრად მოემზადა. მეტე-ძოლებს წინ დაუყენა თავისი ორმოცივე ვაჟიშვილი, ხოლო მეთაურად უმცროსი შვილი ბახადური დაუნიშნა, რომელმაც ცოტა ხნის წინ დევი დაამარცხა.

ყიჟინით ეკვეთნენ ბახრომას მეტე-ძოლები მტერს, მამაცურად იბრძოდნენ, შეუბრალებლად და უმოწყალოდ ჟლეტდნენ მომხდურთ, რომლებიც ათჯერ მეტნი იყვნენ.

მზეთუნახავი ზარინა თვალმოუწყვეტლევ გაჰყურებდა ბრძოლის ველს და მოულოდნელად შესძახა:

– ხომ არ დაიღალე, ბახადურ! კიდევ შეგიძლია თუ არა ძმებისა და შენი გმირი მეტეძოლების მტრის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება?

ბოლოს ვეღარ მოითმინა და მოახტა იქვე ახლოს მდგარ ცხენს, გაუარა თავის დებს, ყველას სასწრაფოდ ჩააცვა კაცის ტანსაცმელი, მუსვა ცხენებზე და საბრძოლველად მოამზადა.

როდესაც შეაზარა, რომ მტერმა დასძლია ბახრომის მეტეძოლები, დაჰკრა ბარბანს და შეტევაზე გადაიყვანა თავისი ქალთა რაზმი დალილი თანამებრძოლების დასახმარებლად.

მტერმა იფიქრა, ალბათ ბახრომას დასახმარებლად ახალ ძლიერი მამული ძალა მოვიდაო, პირი იბრუნეს და გაიქცნენ. ზოგმა იარაღი დაყარა და ტყვედ ჩაბარდა.

ასე მოეხმარა ჭკვიანი და გამბედავი ზარინა თავის ქმარს და გადაარჩინა ხალხი მონობისაგან.

ბახრომას ორმოცი ვაჟიშვილი და დიერის ორმოცი ასული დიდხანს ცხოვრობდნენ ტკბილად და ბედნიერად. იმათი ნაშვილები კი ახლაც ცხოვრობენ და სიმაყით ჰყვებიან ზღაპრებს უდაბნოს დევის დამმარცხებელ ბახადურსა და მდინარის სანაპიროზე ხეხილის ბაღების გამშენებელ მის მზეთუნახავ ცოლზე.

თარგმნა პლატონ ზუმბაძემ
1955 წელს.
ქალაქი სალაგათი

კარგად იცოდა, რომ გომბორში, დუშეთში, ფასანაურში, სადაც ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა, წინვალოცვა რუსულად სრულდებოდა. იყო მრავალი შემთხვევა, როდესაც ქართველ მღვდლებს აძალბებდნენ რუსულად მსახურებას. ეპისკოპოს კირიონს არ დაუსახელებია მრავალი ფაქტი, რომელიც ამპარავებდა იოანე ვოსტროვსის სიცოცხლე. მაგალითად, იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილმა) საქართველოს ეგზარქოსისაგან მიიღო მინერლობა, რომელიც ავალბებდა დაბა ყვირილაში (ზესტაფონში) წმიდა დავითისა და კონსტანტინეს სახელობის ეკლესიაში წინვალოცვის რუსულად ჩატარებას. ასეთი მინერლობის საფუძველი გამხდარა დაბა ყვირილაში რკინიგზის სადგურზე მომუშავე რამდენიმე რუსის საჩივარი.

მეორე განყოფილების სხდომაზე კამათმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო მაშინ, როდესაც საქმე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვამდე მივიდა. პროფესორი მ. ა. ოსტროუშოვი თვლიდა, რომ ზემოაღნიშნულ საკამათო საკითხებსა და გაურკვევლობას მოაგვარებდნენ, მაგრამ ავტოკეფალიის საჭიროებას ის ვერ ხედავდა: „ყველაფერიდან, რაც აქ ითქვა, მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა: ზოგიერთ კერძო შემთხვევაში არსებობს გაურკვევლობა და, ვფიქრობ, რომ ყველაფერი მოწესრიგდება, მაგრამ ყველაფერიდან გამომდინარე საჭიროა კი ავტოკეფალია?“ დეკანოზ ი. ი. ვოსტროვსის აზრით კი, ავტოკეფალიაზე საუბარი უკვე დავიანებებული იყო: „თუკი მოგცემთ ავტოკეფალიას, მაშინ რუსები განაწევრდებიან, რადგანაც ახლა ძალზე ბევრი არიან ამიერკავკასიაში და თუ კიდევ შეიძლება საუბარი ავტოკეფალიაზე, ალბათ, გასული XIX საუკუნის

მხრიდან კიდევ ერთხელ გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა არაკანონიკური იყო. პასუხი ისევ ეპისკოპოსმა კირიონმა გასცა: „ჩვენს მიერ ავტოკეფალიის მოთხოვნა — საეკლესიო საქმეა და არა სახელმწიფოებრივი. მე არ მესმის, თუ რატომ გვაშინებთ, რომ თითქოს ეს საქმე ანტი-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა. თუკი სახელმწიფო ავტოკეფალიას საშინაოდ მიიჩნევს, მაშინ სახელმწიფო მის წინააღმდეგ გაატარებს ღონისძიებებს. რაც შეეხება ავტოკეფალიის კანონიკურ საფუძველს, მის არსებობაში არანაირი ეჭვის შეტანა არ შეიძლება. კანონმდებლობისათვის ეს კარგად უნდა იყოს ცნობილი, ვიდრე სხვა ვინმესათვის“. პროფესორი მ. ა. ოსტროუშოვი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის კანონიკურ საფუძველს ვერ ხედავდა. როგორც მან აღნიშნა, 100 წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა ეკლესიაში, რისი ჩამოშლაც და დავინყებაც შეუძლებელი იყო. ყოვლადსამღვდელო კირიონი კვლავ შეეკამათა მ. ა. ოსტროუშოვს: „მაშინ რა არის ეგზარქოსობა საქართველოში, ვანა ავტოკეფალიის ნაშთი არ არის, როგორც ანტი-ეკლესიური თეოტმწყემლობა?“. მეორე განყოფილების სხდომაზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის საკითხმა პოლიტიკური სახე მიიღო. სხდომაზე მყოფ პროფესორებს მიაჩნდათ, რომ ავტოკეფალიის საკითხი მჭიდრო კავშირში იყო პოლიტიკასთან და ამიტომაც ამ საკითხს გადაჭრისათვის არსებული მნიშვნელობა ენიჭებოდა პოლიტიკურ შესხედულებებსაც. ასეთი მოსაზრებას ეპისკოპოსი კირიონი არ დაეთანხმა და საკითხი ასე დააყენა: „მამასადამე, აქედან გამომდინარე, რუსეთში პატრიარქობის აღდგენის მოთხოვნა ყოფილა პროდუქტი პოლიტიკური მოძრაობისა, რეგულაციისა“. ყოვლადსამღვდე-

რუსები, ბერძენები, ოსები? ამ ეროვნებებს შორის განხეთქილება რანაირ არეულობას შეიტანს საეკლესიო საქმეში? ვანა ჩვენ არ გვაქვს მსგავსი გამოცდილება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე?“ („При решении этих вопросов необходимо иметь в виду, что грузинская Церковь пред присоединением крусской Церкви имела свои территориальные границы, в которых она осуществляла свои полномочия над всеми жившими на этой территории племенами православной веры. Территория это была, как я уже сказал, очень небольшая, с всем малым количеством жителей. Если из всего населения присоединившегося грузинского царства в 160 тыс. жителей исключить иноверцев, то сколь ничтожны были и количество грузинского населения и территория, ими занимаемая... Имеретия, Мингрелия, Абхазия, Бакинская и Карсская области вошли в состав Российской империи и Церкви позже и при других условиях. При этом западная Грузия имела никогда свою автокефалию и своих католиков. Спрашивается теперь: О какой автокефалии хлопочт грузины? Предполагается ли восстановление автокефалии в границах только бывшего грузинского царства, присоединившего к России 1801 году, или же об автокефалии, простирающейся на весь Кавказ, приобретенный русскою кривою? При этом какое начало желают положить в основание автокефалии: территориальное, с распространением автокефалии на всю известную территорию со включением в нее всех православных жителей, какой бы нации они не были, или же племенное, то есть, с распространением полномочий будущей автокефальной грузинской Церкви только на картвельское племия? А может быть, запад-мингрельцы желают для себя особой автокефалии?“

იურისდიქციაში უნდა შესულიყვნენ არა მარტო ქართველები, არამედ სხვა ეროვნების მართლმადიდებლებიც, რადგან ისინი საქართველოში მონათლენ მართლმადიდებლებად და ცხოვრობდნენ საქართველოს მიწაზე. მეორე განყოფილების სხდომაზე განხილვის თემად იქცა ყოვლადსამღვდელო კირიონის ნიგნი. ნიგნი ეპისკოპოსი კირიონი დადებითად აფასებდა თბილისის რუსულ სასულიერო სემინარიის საქმიანობას, რომელიც დიდი როლი შეასრულა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ პერიოდში სასულიერო განათლების გავრცელების საქმეში. საქართველოში მიდიოდა პროგრესისა და ცივილიზებული ცხოვრებისაკენ, საქართველოს ეკლესია კი ხალხის კეთილდღეობაზე, მის რელიგიურ-ზნეობრივ ცხოვრებაზე ზრუნავდა, - ნათქვამი იყო ყოვლადსამღვდელო კირიონის ნიგნი. რუსი პროფესორები შეეცადნენ, ნიგნის ეს მონაკვეთი თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ისინი თვლიდნენ, რომ ყოვლადსამღვდელო კირიონის ეს ნიგნი ადასტურებდა ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაში აღნიშნული ფაქტების სიყალბეს. ქართველმა მღვდელმთავრმა განმარტა, რომ ეს ნიგნი დაინერსა საქართველოს რუსეთთან შეერთების მე-100 წლისთავზე და სათბილო ნიგნი საუბარი ნაკლოვანებებზე უხერხული იყო, თუქცა ეპისკოპოსმა კირიონმა არ უარყო ის, რომ 100 წლის განმავლობაში რუსეთის ხელისუფლებამ ზოგიერთი სასიკეთო ღონისძიებაც გაატარა, რაც დადებითად აისახა ქართველი ერის ცხოვრებაზე. სხდომა კვლავ ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენების განხილვას მიუბრუნდა. კონკრეტულად, იხილებოდა მოხსენების ის ნაწილი, რომელიც სასულიერო განათლებას ეხებოდა. რუსებს განსაკუთრებით ალერგებდათ ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენებაში გაკეთებული შემდეგი დასკვნები: 1. სასულიერო განათლება

წინააღმდეგობის შემთხვევაში ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი

70-იან წლებამდე, როცა იქ არც რუსული სამრევლოები და არც რუსი სამღვდელთა არ არსებობდა. ახლა კი ცხოვრობს ვერ შეცვლილი“ ი. ი. ვოსტროვსის იხვეწა-საძლევლო ლეონიდის მოხსენებას შეეხებ, რადგან სურდა, ამით ავტოკეფალიის საკითხი მეორეხარისხოვანად ექცია. უკვე იმდენი ითქვა ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებასთან დაკავშირებით, რომ კვლავ ამ თემის წინ წამოიწევა და განხილვა მიზანშეწონილი არ იყო. მეორე განყოფილების სხდომა კი კვლავ ამ საკითხის ირგვლივ ტრიალებდა. ყოვლადსამღვდელო კირიონი იძულებული გახდა, დამსწრეთათვის ეთქვა, რომ მიუხედავად ეპისკოპოსი ლეონიდი და მისი თანდასწრებით განხილვით მოხსენება, რომელმაც ასეთი აჟიოტაჟი გამოიწვია. გორის ეპისკოპოსმა ექვთიმემ ქართველი მღვდელმთავრის მოსაზრებას მხარი დაუჭირა და სთხოვა სხდომას აღნიშნული საკითხის განხილვის გადატანა ეპისკოპოს ლეონიდის გამობრუნებამდე. ქართველი სამღვდელთა არც ერთი თხოვნა არ იქნა გათვალისწინებული. რუსი სამღვდელთა და მეცნიერები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას აპირებდნენ. დეკანოზი ი. ი. ვოსტროვსი კვლავ ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენების კრიტიკას მიუბრუნდა და განაცხადა, რომ არც ერთი ქრისტიანული ჩვეულება საქართველოში რუსების მიერ არამართლმადიდებლურად იყენებოდა, რომ თუ რამე აიკრძალა ან განადგურდა, ეს ქართველი მღვდლების ნამოქმედარი იყო. სხდომაზე მყოფი რუსი პროფესორებისათვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი თეორიული ხასიათისა იყო. მათ ავტოკეფალიის საკითხის გადაწყვეტა ქართველების სასარგებლოდ მოულოდნელად მანად შეჩვენდა, სანამ ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებას ბოლომდე არ განხილავდნენ. პროფესორმა მ. ა. ოსტროუშოვმა განაცხადა: „ჩვენ არ შეგვიძლია ჩამოვშორდეთ დასახულ მიზანს, ბრალდების განხილვას. საქმე ისაა, რომ ავტოკეფალიის მისაღწევად ქართველებმა მონახეს ორი გზა: არა მარტო ეკლესიური, არამედ სახელმწიფოც. ეს გამოიხატა იმში, რომ მინისტრთა კომიტეტში შეიტანეს პეტიცია. და აი, წარმოიდგინეთ, რომ იგივე, რასაც ჩვენ აქ ვისმენთ, დაწერილია იმ პეტიციაში, რომელიც წარადგინეს სახელმწიფო ხელისუფლებაში. ვიმეორებ, მაშ, როგორ არ მოხსენიან ეს ბრალდებები. ყოვლადსამღვდელო კირიონმა განმარტა, რომ ბრალდებები, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაში, ნაყენებული იყო არა რუსეთის ეკლესიისადმი, არამედ საქართველოში არსებული სინოდალური მმართველობისადმი (ე. ი. საქართველოს ეგზარქოსებისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისადმი - გ. ბ.). ეს ორი საკითხი კი ერთ-ერთი სხვადასხვა სახეობისაა. რადგან თუ რუსებს ჰქონდათ უფლება ესაუბრათ სინოდალური წყობის ნაკლოვანებებზე, მაშინ ეს უფლება ქართველებსაც უნდა ჰქონოდათ.“

ლო კირიონს პასუხი ვერავინ გასცა. რუსი პროფესორები და სასულიერო პირები იხოვდნენ ბრალდების ჭეშმარიტების განსაზღვრას და საკითხის ბოლომდე გარკვევას. გადაწყვეტილი იყო, თუ ვინ შეისწავლიდა საქართველოს ეკლესიის საკითხს რუსეთთან შეერთებამდე და შეერთების შემდგომ, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ იმაზე, თუ ვინ დაწერდა ნაშრომს, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის კანონიკობას დაადგენდა. ეპისკოპოსმა სტეფანემ ასეთი მოსაზრება გამოითქვა: „ამ საკითხების გადასაწყვეტად აუცილებელია გავითვალისწინოთ ის, რომ საქართველოს ეკლესიას რუსეთთან შეერთებამდე ჰქონდა თავისი ტერიტორიული საზღვრები და უფლებამოსილი იყო ამ ტერიტორიაზე მცხოვრები იმ ტომების, მოსახლეობის გაკონტროლება, რომლებიც მართლმადიდებლობას აღიარებდნენ. ეს ტერიტორია, როგორც უკვე აღვნიშნე, ძალიან მცირე იყო, მცირერიცხოვანი იყო იქ მცხოვრები მოსახლეობა. თუკი მივალ მოსახლეობას, 160 ათას კაცს, რომელიც ცხოვრობდა შემოერთებულ საქართველოს სამეფო საზღვრებში, გამოვაკლებთ უცხო ტომის ხალხს, მაშინ ვნახავთ, თუ რამდენად უმნიშვნელო იყო საქართველოს მოსახლეობა და ის ტერიტორია, რომელიც მათ ეკავათ... იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, ბაქოს და ყარსის ოლქები შევიდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მოგვიანებით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა საქართველოს ეკლესიაც, მხოლოდ სულ სხვა პრობლემა. ამასთანავე, დასავლეთ საქართველოს ოდესღაც ჰქონია თავისი ავტოკეფალია და ჰყოლია თავისი კათოლიკოსი (იგულისხმება ლიხთიმერეთისა და აფხაზეთა საკათოლიკოსო - გ. ბ.). ისმის კითხვა: რომელი ავტოკეფალიისათვის ზრუნავენ ქართველები? შესაძლოა, ავტოკეფალიას ითხოვენ მხოლოდ საქართველოს იმ ყოფილ საზღვრებში, რომელიც 1801 წელს შეუერთდა რუსეთს (იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფო - ავტ.), ანდა იმ ავტოკეფალიას, რომელიც სურთ, რომ განავრცონ მთელ კავკასიაში, იმ კავკასიაში, რომელიც რუსული სახელის იქნა მოპოვებული? ამასთანავე, რა საწყისი სურთ მოიზრონ ავტოკეფალიის საფუძველად? - ტერიტორიული, სადაც სურთ იმ ცხოვრებულ ყველა მართლმადიდებელზე გაავრცელონ ქართული ეკლესიის უფლებამოსილება, იმის მიუხედავად, თუ რომელ ეროვნებას მიეკუთვნებიან ისინი? ანდა ტომობრივი, ანუ მომავალი ავტოკეფალიის უფლებამოსილებას გავრცელება მხოლოდ ქართულ ტომებზე? იქნებ დასავლეთში - მეგრელებსა და გურულებს სურთ თავიანთი განსაკუთრებული ავტოკეფალია?.. საკითხი ავტოკეფალიის საზღვრებზე, ანუ იმაზე, თუ როგორი საწყისი მოიაზრება, ეროვნული თუ ტერიტორიული, მეტად მნიშვნელოვანია. თუკი ავტოკეფალური ეკლესიის შემადგენლობაში შევლენ მხოლოდ ქართული წარმომავლობის ადამიანები (ქართველები), მაშინ ძნელი იქნება გამიჯვნა საეკლესიო გავლენის სფეროებისა. მაგალითად, თბილისში არის რუსული, ქართული, ბერძნული და ა. შ. ეკლესიები. საჭირო აღარ უნდა იყოს იმაზე საუბარი, რომ ერთსა და იმავე ქალაქში აუცილებელი გახდება რამდენიმე დამოუკიდებელი ეპისკოპოსის დანიშვნა, რაც თავისთავად იმ კანონს ეწინააღმდეგება, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა ეროვნების მცხოვრებლების ტარებას და მრევლზე ერთიანი ქონების განაწილებას. ეს ყველაფერი სისხლისღვრამდე ხომ არ მივსვამ? თუკი ტერიტორიული ავტოკეფალიის შემოიღებენ, მაშინ აუცილებელია გავარკვიოთ, მოსურვებენ კი, მიაკუთვნონ საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას სხვა ეროვნებები:

Вопрос о пределах автокефалии, о том, какое начало будет положено – национальности или территориальности – весьма важный: если автокефальной Церкви войдет только грузинская национальность, то трудно будет разграничить сферы церковного влияния. Например, в Тифлисе есть церкви русская, грузинская, греческая и т. д. Не говоря уже о том, что в одном и том же городе придется поставить по несколько самостоятельных епископов, что будет противно канонам, как разделить общия теперь для разных национальностей храмы и церковные имущества? Не дойдет ли дело даже до кровопролития? Если автокефалия будет введена на территориальном основании, то необходимо познакомиться, пожелают ли принаследать к грузинской автокефальной Церкви другие национальности: русские, греки, осетины, какую же смуту могут внести в церковные дела распри всех этих национальностей! Не видим ли мы опыта в этом роде на Балканском полуострове?“. ეპისკოპოს სტეფანეს ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა პროფესორი ა. ი. აღმაზროვი, რადგან თვლიდა, რომ ამ საკითხზე მსჯელობა ნაადრევი იყო მანამ, სანამ არ გადაწყდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. მისი აზრით, თუკი ზემოთ აღნიშნული ბრალდებები გაქარწყლებოდა, ეს საკითხს მაინც ვერ გადაჭრიდა. მთავარი იყო იმის გარკვევა, თუ რატომ წამოიჭრა საქართველოში ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნა. რუსეთის საეკლესიო კრების წინაშე თავთირის მეორე განყოფილების სხდომაზე საქართველოს ეკლესიის საზღვრების დადგენის საკითხმა კამათი გააჩინა. დეკანოზ ი. ი. ვოსტროვსისათვის გაურკვეველი იყო, თუ რა საზღვრებში მოითხოვდა საქართველოს ეკლესია ავტოკეფალიის აღდგენას. მისი თქმით, მიიღო საქართველოს მოსახლეობის ტოლი იყო, ხოლო მოსახლეობა 160 000 კაცს არ აღემატებოდა, რომელთაგან, რუსი დეკანოზის მტკიცებით, ნახევარი სომეხი იყო. ყარსის ოლქი, ფოთი, ბათუმი, ახალციხე, სოხუმი, ერევანი, ბაქო და ელიზავეტპოლი - ყველა ეს ტერიტორია ომების გზით მოპოვებული იყო რუსეთის მიერ, ამიტომ ი. ი. ვოსტროვსის მართებულად არ მიაჩნდა ამ ტერიტორიების შესვლა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში. ვოსტროვსის არც ის დავიწყებია, რომ 1783 წლისათვის (ე. ი. გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დროისათვის - გ. ბ.) საქართველოში ორი კათოლიკოსი იჯდა - აფხაზეთის (იგულისხმება ლიხთიმერეთისა და აფხაზეთა საკათოლიკოსო - გ. ბ.) და მცხეთის. თუ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიის მინიჭებდნენ, გაურკვეველი გახდებოდა არაქართული სამრევლოების ბედიც. დეკანოზ ი. ი. ვოსტროვსისათვის მიუღებელი იყო არაქართული სამრევლოების (იგულისხმებიან არაქართული მართლმადიდებლები - გ. ბ.) საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შესვლა. ყარსის ოლქში 70-მდე ბერძნული სამრევლო იყო, თბილისის გუბერნიის - 15. რუსეთთან შეერთების შემდეგ ბერძენები გადასახლდნენ რუსეთში, ამიტომ დეკანოზ ი. ი. ვოსტროვსი ირწმუნებოდა, რომ ისინი არა საქართველოს, არამედ რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყვნენ. ამჯერადაც მოახსენე ეპისკოპოსი კირიონი იყო. ქართველმა მღვდელმთავარმა დამსწრეთა აუხსნა, რომ საქართველოს ეკლესია უნდა აღდგენილიყო იმ საზღვრებში, რომელიც მას რუსეთთან შეერთებამდე ჰქონდა და როცა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი იყო მცხეთის კათოლიკოს-პატრიარქი. ქართველი მღვდელმთავარი თვლიდა, რომ საქართველოს საკათოლიკოსის

საქართველოში სავალალო მდგომარეობაში იყო; 2. საქართველოში არსებული სასულიერო სემინარიები დასახულ მიზანს ვერ აღწევდნენ; 3. სასულიერო სემინარიაში პედაგოგები მხოლოდ რუსები იყვნენ; 4. სასულიერო სემინარიებში მკაცრი ფორმალური იყო გაბატონებული. რა თქმა უნდა, სხდომაზე მყოფი რუსი სამღვდელთა და საერო პირების მიერ ეს ფაქტები სიცრუედ იქნა შერაცხული. ყოვლადსამღვდელო კირიონისათვის გაუგებარი იყო ის, თუ რატომ არ ისწავლებოდა სემინარიაში ქართულად ისეთი საგნები, როგორებიცაა: კატეხიზმი, წმიდა წერილი და საქართველოს ისტორია. ქართველმა მღვდელმთავარმა რუსებს მოსთხოვა განმარტა, თუ რატომ არ ისწავლებოდა საღვთისმეტყველო საგნები ქართულ ენაზე. ეპისკოპოსმა სტეფანემ კითხვას ასე უპასუხა: 1) რუსულ ენაზე სწავლა მიმდინარეობდა იმ მიზნით, რომ ქართული მონაფებე კარგად დაეფასებინებინენ რუსული ენას. რუსული ენის კარგად დაეფასებინებინენ სემინარიის მონაფებების მშობლები, რათა მათ შვილებს შესაძლებლობა მისცემოდათ, უმაღლეს სასწავლებლებში რუსულ ენაზე შეუფერხებლად გამოიყენებინებინენ; 2) რუსულ ენაზე სწავლების გარეშე სემინარიაში ხელმძღვანელობის მხრიდან სასწავლო პროცესის გაკონტროლება შეუძლებელი იქნებოდა. ყოველივე ამის შემდეგ ცხად იყო, თუ რა შინაარსი შეიძლება დაწყებული პოლიტიკა. სხდომაზე მყოფი რუსი პროფესორები დიდი მოზღმობით ამტკიცებდნენ იმას, რომ ქართული ენის დევნა, ქართველების შევიწროება, ქართული საეკლესიო და საერო ტრადიციების დევნა, სემინარიებში არსებული სავალალო მდგომარეობა - ეს ზოგიერთი ფაქტის გახვიადებას წარმოადგენდა და რეალობას მოკლედ იყო. პროფესორ ა. ი. აღმაზროვის აზრით, შეუძლებელი იყო იმის დაბრუნება (იგულისხმება ავტოკეფალია - გ. ბ.), რაც საქართველოს ეკლესიას წინათ გააჩნდა. სხდომა დასასრულს უახლოვდებოდა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ისევ უცნობი იყო. მეორე განყოფილების სხდომების თავმჯდომარემ ყოვლადსამღვდელო ნიკანდრმა საბოლოოდ ასეთი განაჩენი გამოიტანა: „ჩვენ მოვისმინეთ ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენება და ვერანაირი საფუძველი ავტოკეფალიისათვის ვერ ვპოვეთ“. პროფესორ პ. ბ. მანსუროვისათვის კი საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების კანონიერების დამადასტურებელი სხვა რაიმე საფუძველი ვერ ვხედავთ არ არსებობდა და არც მომავალში იარსებებდა. ყოვლადსამღვდელო ნიკანდრმა სხდომა დასრულდა გამოცხადდა. განყოფილების საქმიანობა კი შემდგომამდე შეწყდა. საბოლოო სიტყვა ყოვლადსამღვდელო კირიონმა წარმოთქვა. უფრო უსუსტად კი, ეპისკოპოსმა კირიონმა წაიკითხა წინასწარ მომზადებული მოხსენება. ეს იყო ყოვლადსამღვდელო კირიონის მიერ დაწერილი თხზილ ნიგნი, რომელიც მესამე სხდომის მოწინავე იძულებული გახდნენ ელიარგონიანთა, რომ მოხსენება მართლაც მნიშვნელოვანი იყო და განსაკუთრებული ყურადღებას იმსახურებდა. მიუხედავად ასეთი აღიარებისა, რუსები მიიჩნევდნენ, რომ ეპისკოპოს კირიონის მოხსენება მიღებულ გადაწყვეტილებას ვერ შეცვლიდა.

პატარა კახი ასპინძას,
შეება თათრის ჯარსაო,
ზოგი ადგილზე დახოცა,

ოკმის წყაროვ

შენ პატარავ, ოკმის წყაროვ,
სიტყვას გეტყვი საქებარსა!
მაცოცხლებლად მოვლენიხარ
ამ დალოცვილ მთა და ბარსა.

მასხოვს, როგორ შემეგებე
სატრფოს გზაზე მიმავალსა,
პეშვით მასვი ევ სინძინდე
სიყვარულის ეშხით მოვრალსა.

რატომ ვერ შეგვლიე?

შენი სოფლის გზას თავკიდულს
ია-ვარდით მოვრთამდი,

ისე არვინ მყვარებია
გოგოვ, შენ რომ მიყვარდი.
მზის სხივებით ორთავ ნანნავს
დაგინავდი წელამდი,
ციდან ღრუბელს ჩამოვხსნიდი
კაბას შევიკერამდი.
ცხრა მთას გადაგატარემდი,
აგიყვანდი აბულზე,

დაზამთრდა, დღენი
დამოკლდნენ

დაზამთრდა, დღენი დამოკლდნენ,
შუქი ნელდება იმედის,
ნეტავი გამაგებინა,
დარდო, შენ რად არ ილევი.

ძმად გაფიცულხარ სიკვდილთან,
შენი სახელი კრულია,
საიდან იღებ სათავეს
ან სად გაქვს დასასრულია?

გაჭალარავდა აბული,
მგლის ფერი ადევს ცასაო,
უთქმელსა დარდსა ცრემლებად
გავატან ფარავანსაო.

შხაპუნა წვიმად წამოვალ,
ავახმარებ მტკვარსაო,
ნისლებად დავედინებ,
მაგ შენი სოფლის გზასაო.

გადავალ ქარაფის პირას,
დავრჩები ცოტა ხანსაო,
გახედავ მთებს მადლიანს,
ჭაჭკარს და ვარძიასაო.

შრომანზე ჯვარსა დავინერ
თუ გადაურჩი მარტასაო.

გლორვ გოგაშნის ქარაფო

გლოცავ გოგაშნის ქარაფო
მუდამ მზის სხივით გამთბარო,
გოგაითო და დანკალო,
შენ ძველთა ძველო ჭაჭკარო.

ვანისხევი და ვაშლობო,
ლილილოსფერო მთა-ბარო,
მზისფერო ხოდაბუნებო,
თვალთახილულო ზღაპარო.

მიყვარხარ, ძლიერ მიყვარხარ,
ეს გრძნობა როგორ დავმლო?
შენ, ჩემი ცეცხლის წამკიდვე,
შენ, ჩემი ფიქრის ლადარო.

ავტორ - მიქმელი ილდარ ზაზაძე,
42 წლის, ასპინძის მუნიციპალიტეტის
სოფელი ტოლოში

ვარაზის წიხე

ციხე ვნახე ვარაზისა,
ინრო ხევე-კლდის თავსა ზისა;
არ ჰრცხვენის მტრის, არცა მზისა,
არსით უჩანს კვალი გზისა!

თუ მიხედოთ თვით საგანსა,
ჰგავს დევე-გმირების აკვანსა!
ვუქებ დაზრდილთ სახე-ტანსა,
მკლავს, შვილდს, ძღვევას, სიგრძე-განსა!

*
დაულენიათ მტერები,
ღრუბლად სცავს ცასა მტერები;
სკივით, პარსთ, არაბთა ტერები,
კენესიან მარცხზედ შტერები!

*
ისართ მტრის გულნი უჭრიან,
სისხლთ ხე-ღელე გაუჭრიან,
მძორნი კლდე-ღრედ დაუჭრიან,
წყარო წყალნი დაუჭრიან!

*
სადაც მესხთ სისხლი ქცეულა,
ვარდ-მონ-ლაღებრ განეულა,
მინა მალლა ანეულა,
მესხის მესხი მიწეულა!

*
გორა, მზღვრებს, სადაც აწყვია,
იქ ხშირობს ყოლო მარწყვია,
ის ფერ ჯავარი არწყვია,
რაც შობულთ შვილთ მინაწყვია!

*
ზე ვარაზი, ქვე შორეთა,
ნუ გგონია შენ ყორეთა!
ცოტა რამ მის სიშორეთა,
შესანიშნია სწორეთა!

*
აოხრებულა სოფლები,
მინაში წევან უფლები:
გმირნი, მეფე, დედოფლები,
გვაკვირვებს მათი ოფლები!

მ.ი. გვარამაძე, ახალციხე,
25 ენკენისთვეს „დროება“, 1878 წელი, N208

წლებია ვითმენ ტკივილსა,
ძალ-ღონეც გამომღვია,
მაინცა ველსამ ხანჯალსა,
ახლა ამისი ჯგრია,
იქნება ამან მიშველოს
და დამიმარცხოს მტერია.

ვერ შეგვაშინებს თათრები,
ხმლით დავხედეთ, გავისარჯოთა,

მესხეთისთვინა, ლამაზის,
მოვეკედეთ და დავისაჯოთა!

მესხი კაცი ვარ, მშრომელი,
ვთესე ხორბლი, ვრგე ვაზი,
ჩემს ტურფა მხარეს ენაცვლოს
ათასი მხარე ლამაზი.

მზე ამოვიდა მთის წვერზე,
ხევეს კი ნისლი ედება,

გაჯავრებული დავდივარ,
ბოლმით გულს ცეცხლი მედება,
თათრები ყვაფ-ყორნებით
გუნდ-გუნდად დამესხმინაო,
დედას ვერ ჩავეკონებო,
მის გამო ცრემლი მდინაო.

მესხი გულად ვაჟკაცი
ჩამდგარა სოფლის ბოლოში,
ხელხმლიანს სისხლი ჩამოსდის,
არ იმალბა ლოლოში.

მშვიდობა შენდა დედა-მესხეთო,
შემკულო ტურფად ათას ფერებში,
ვარძის ციხეც, კლდეში ქალაქო,
გამოკვეთილო რკინის ხელებით.

მიქმელი ოსიპო გიქოშვილი, 90 წლის,
ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელი ივ-
ლიტა. ჩაინერა სოსო გიქოშვილმა 2024 წელს

ნარსულის ფირსლები

ხიზაბავრა, 20 მარტს. ხელმწიფის მოკე-
ლის ამბავი აქ 6 მარტს გავრცელდა ხალხში.
მეორე დღეს ყველგან იასაულები გაიგზავ-
ნენ. მრთელი ჯავახეთის სამამასახლისოებ-
თან ყოველ სოფლებში დაარიგეს მიწვევის
ქალაღებ; სადაც ეწერა, ყოველი წოდე-
ბის პირი, დანყობილი სასულიეროებიტან
თავად-აზნაურ-მოქალაქე-გლეხამდის 12
წლითგან 60 წლამდის და უფროც მეტისა,
უნდა წასულიყვნენ ახალქალაქს ახალი იმ-
პერატორის ალექსანდრე მესამის ერთგუ-
ლებასზედ დასაფიცებლად. გაჩნდა ყოველ-
გან დიდი მოძრაობა. შუალამითგან დაიწყეს
დენა ქვეითად წამსვლელთ. მთვარიანი ღა-
მეც იყო და ალაგ-ალაგ აჭრელებით თოვ-
ლიცა. მეც ადრე შევეცადე, მამასახლისს
თუ ნაცვალს ცხენი გამოეგზავნათ, სანამ
ინათლემდა, ცხენს შემოვასტი და გავსნიეთ
რამდენიმე წვერ-თეთრებთან ერთად. ისე-
თი ქარი იყო, რომ სუნთქს არ გვაბრუნები-
ნებდა; მეორე თუ მოგესხენებათ ხიზაბავრის
ხე-ღელე-ღრუდები ისე ქარიანია, რომ ზამ-
თარ-ზაფხულ უკლებლად ქარი ქრის:
მე რომ სამდურავი დავინყე ქარის
ქროლვაზედ, ერთმა წვერ-თეთრმა მითხ-
რა: ძველებისგან გავგიფონია, ქვეყანაზედ
რომ ქარი დაიკარგოს, ხიზაბავრას იპოვნი-
ანო! მეორედ დაუმატა: აი მაგაზედ ლექსიც
თქმულა ძველთაგან:

„ხიზაბავრა ქარიანი,
დარნები აქვს კარიანი,
წინ მინდორი და უკან ტყე,
ღვინო იცის გვარიანი!“
ამ ლექსზედ გაუჩნდათ ამათ ერთმანეთ-
ში ცილობა:
- ბიჭო, სადლა არის უწინდელი ღვინო
ან უწინდელი ტყე? იმდენს არ ვაცლით, რომ
ყურძენი რიგზედ შემოვიდეს, დავესვით,
მოვკრეფთ ჟურსა და ასე ვსწურავთ ვითამ
ღვინებდა! ისეთი მუჟავე კონმახი ღვინოები
გვიდგება, რომ კაჭკაჭს დააჩხავლებს!.. აბა
სადლა გვარიანი ღვინო?
- ე, შე დალოცვილო შვილო, თუ გაქვს,
ოლომც მასვი ღვინო და რაც უნდა კონმახი
იყოს, ხუთ მადლობასაც გარდაგიხდი!.-
შენ, ჩემო ძმა, კომბოსტოს მუჟავის წვენსაც
არ დაინუნებ და ღვინოს ხომ რაღა.
- მოდი, ვნახოთ, ყველას შენსავით მო-
კუპრული რუმბის უმაგრესი მუცელი აქვს.
- ეგ ავრე, შენი სიტყვა იყოს, ტყეს რაღა
გვიჭრის?..
- რა და ერთ მხარეს ბატონების მეტყე-
ურები გვარტყიან და მეორე ხელმწიფისა.
ჩვენ არ გვაჭრევენებენ არც ერთ წკორსა და
გარე-სოფლის სომეხ-კროებს კი აჩენიე-
ბენ მრთელ ტყეს! უწინ ორ-სამ ნაბიჯზედ
ტყე გვადგა თავს და ახლა დღის სავალზედ
გავგვორდა! ჰო, სწორეთ მაგათია, რომ წყა-
ლი დაგვიპატარავდა, ვენახებს ნაკლებად
ვრწყამთ და იმიტომ კარგი ღვინო აღარ
მოგვდის.
ამ გვარ შექცევაში ავიარეთ ხე-ღელე-

ები და ავედით ვარგავის მინაში თუ არა,
ქარიც დადგა და მზემაც ამოიჭვირვა აბუ-
ლის მთის წვერითგან, შეაყენა ოქროს ფერი
სხივები ვანის მთას ზურგს და შემოგვევლო
გარშემო ძონებრივის შარავანდებითა. იწყო
ჯავახეთის სპეტაკი თოვლით ერთიან და-
ფარულმა ტრიალმა ვაკეებმა ღიმილი.
გარდავადქეთ ვარევის ქვეშ ვარდის-
ციხის მალალობ ქედს თუ არა, დავინახეთ
წინ ახალქალაქისკენ მიმავალი დიდი სიმ-
რავლე, დაჯრილი ბუზ-ფუტკარივით, რიგი
ქვეითად და რიგი ცხენითა შეგუნდული
ხშირ ტყესავით. უკან მოვიხედეთ, დავგწე-
ოდა მეორე და მესამე წყება ცხენოსანიანი
თუ ქვეითთა ვარევითგან, თოკითგან, ხან-
დოთგან, გოკითგან, ალასტითგან, აზავ-
რეთითგან, ტურცხითგან, და სხვა სოფლე-
ბითგან. ისეთი ამბავი იყო, რომ გეგონებო-
დათ მეორედ მოსვლის დღე ახლავე წინად
გვეხატებო!
ჩვენ 10 საათზედ მიწვეულ ვიყავით: ნა-
ხევარ საათით წინ მივედით, მაგრამ მაინც
ვერ მოუხსნართ: ბავრის სომეხ-კათოლიკე
მღვდელს პირველად დაეფიცებინა ქართ-
ველ-კათოლიკენი და სომეხ-კათოლიკენი
ადგილობრივ ნაჩალიკის დასწრებითა; შემ-
დგომ მართლ-მადიდებელნი მესხ-ჯავახნი,
მერმე გრიგორიანმა სომეხებმა დაიფიცეს
და ბოლოს მაჰმადიანმა ჯავახ-მესხებმა და
თარაქამებმა.
ჩვენს კათოლიკეებში ნახევარნი სომეხ-
კათოლიკენი არიან და თითქმის ნახევარ-
საც მესხ-კათოლიკენი. ხიზაბავრულ-ვარგა-
ველებმა ქართული იციან და ტურცხელებ-

მა, ხულგუმელებმა, ბავრელებმა და კარტ-
მელებმა თათრული, სულ ცოტა ნაწილმა
იცის სომხური. ახლა ესენი რომ დაავიცოს
ვინმემ სომხურად, რომ არ იციან ენა, რას
მიემონებინან დამფიცებელ მღვდელსა,
რაც არა ესმისთ რა? უკეთესი არ იქმნე-
ბა თვითოეული საზოგადოება თავიანთ
მღვდლებმა დაავიცონ იმ ენაზედ, რა ენაც
ესმისთ! ამას გარდა სოფელ-სოფელ ხალ-
ხის ხელმოსაწერი ქალაღებუ ხიზაბავრას
სომხურს ენაზედ გამოგზავნეს; არც ერთი
სიტყვა არ ესმისთ სომხური და აწერიანებ
ქართულად ხელს, მთავრობა თუ ადგილებ-
რი ადმინისტრაცია რომ არ არჩევს ნაციასა,
იმიტომ სომხებიც თითქო ძალად გვასომხე-
ბენ!
შემდგომ ჩვენ ორნი მღვდელნი ხიზაბა-
ვისა და საროსი მიგვიწვია ბ. ნაჩალიკიან
უეზდის უპრავლენიაში. მიგვილო შესაფე-
რად ჯავახეთის ბეგებთან და მოლლებთან
ერთად და ნავიკითხა გავხეთითგან რუსუ-
ლად განსვენებულის იმპერატორის სამწუ-
ხარო შემთხვევა და შემდგომ მისი იმპერა-
ტორობითის ალექსანდრე მე-III გახელმწი-
ფება; ცოტა ხნის შემდგომ გამოვეთხოვენი
და ნამოვედით ჩვენს სოფლებში, რადგან
გვილამდებოდა შორის გზის გამო ვეჭქარე-
ბოდით. მაგრამ კი მთელი ჯავახები და სომ-
ხები სავსე იყვნენ ახალქალაქის იწრო ხანე-
ბში, ღუქნებში და სამიკიტნოებში რიგ გარედ
გარდალექილნი მეტის სმისაგან...

ვინმე მესხი
„დროება“, 1881 წელი, N70

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გაზეთი რედაქცია სარგებ-
ლობს თავისუფალი პრესის
პრინციპებით და ავტორის
მოსაზრებებსა და გამონათ-
ქვამებზე პასუხს არ აგებს
კომპიუტერული
უზრუნველყოფა
ირმა ჯიშკარიანის
რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე,
ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი
გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი,
თვედორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32
რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.mesheti@gmail.com
lit.mesheti@yahoo.com